საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუჩთის გაფანა ყვეღა უკარისიბაზე უსაძაგღესია.

სამშაბათი, 23 თებერვალი. 2016 წ. №34 (7926), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ჩვენი დრეოს „ფეარრის“ ეფარეფლის საყურადღებო

პოლიტიკური სიმსივნე...

მოუშორებელი ჭირი და მაოხრებელი გზირიო, რომ იტყვიან, სწორედ და ზუსტად ნაპრეზიდენტალ სააკაშვილზეა ზედგამოჭრილი. ეს „ცრუსთავი-2“-ც კარგ სასიძოსავით წარამარა გვახსენებს ამ თავპირგაბუდაღებული ქვეყნის დამაქცევარ ნაციონალთა ქვეშაფსია ამირსპასალარს, რომელიც, უწინარესად, იმან გაათავხედა, რომ, ჯერ ერთი, პრეზიდენტობის ვადის დამთავრებისთანავე გაპარვის საშუალება მისცეს, მეორეც, დღემდე თავისი უტყუარი სახელი არ დაარქვეს „ოცნებელებმა“, რომელთაც, პირიქით, თავს მოხვეული ეგრეთ წოდებული თანაარსებობის „სიყვარულობანა“ გაუჩაღეს და დღემდე გაუთავებელი „ნაციონალური შოუ-ბის“ ნერვებმოშლილ მაყურებლად გვაქციეს.

თავის სახელის დარქმევაში კი, ყოვლის უპირველესად, ის იგულისხმება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის უბედურებანი ხახვივით შერჩა და დღესაქამომდე ის ხახვი ვერც ვერავინ დააჭრა ყურებზე. არადა, ნუთუ რომელიმე საღი აზრის მქონე ადამიანისთვის საეჭვოა, რომ როგორც რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტია დამნაშავე საქართველოს წინაშე, ისეთივე ბრალეულია ეს ჩვენი გუშინდელი ნაპრეზიდენტალი როგორც საქართველოსა და ქართველი ხალხის, ისე თვით ოსთა წინაშე.

ბევრს რატომღაც არასწორად ჰგონია, რომ თუ იმ ომის მთავარ გამჩაღებლად და ოსი ხალხის გენოციდში მთავარ ბრალდებულად ქვეშაფსია ამირსპასალარ სააკაშვილს წარმოვაჩენთ, რაც წყალგაუვალი სიმართლეა, ამით საქართველოს შევუქმნით უხერხულობას.

არა, ბატონებო, სააკაშვილი არც არასოდეს ყოფილა საქართველო და ვერც ვერასოდეს გახდება საქართველოს სინონიმი... ის ერთი ბოროტი, კაცთმოძულე, პატივმოყვარე ვაიპოლიტიკოსია, რომელმაც მთელი ათი წელიწადი თავისი „ერთი ადგილის ქეიფზე“ ითარეშა საქართველოში და ახლა ოდესიდან საბედისწეროდ ამღვრევს წყალს აქ დარჩენილი თავისი თავაწყვეტილი ნარჩენების წყალობით, რომლებიც ძვლებივით გასჩხერიან ყელში ევროპის „გასაოცებლად თავგადემოკრატებულ“ დღევანდელ ხელისუფლებას და ნაციონალთა მთავარი იდეოლოგიური იარაღის „ცრუსთავი-2“-ის ოცდაოთხსაათიანი პროპაგანდისტული საარტილერიო ცეცხლით გულუბრყვილო, შეჭირვებული ხალხის თვალში ყველაფერ კარგსა და ღირებულს ბუგავს და ანაცარტუტებს.

ავი ღრენა ოდესიდან

დიდი ფილოსოფობა სულაც არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ზემოხსენებული „ნაციონალური ნარჩენები“, რომლებიც ოდესის შტაბიდან იმართებიან, არავითარ ოპოზიციას არ წარმოადგენენ, მით უმეტეს, კონსტრუქციულს, რომლის უპირველესი მოვალეობაა ქვეყანაში ჰარმონიული თანაცხოვრების ხელშეწყობა. როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს, რომ ეს „ნაციონალური ნარჩენები“ უკვე ცხადად და დაუფარავად, ყველა ბინძური ხერხის გამოყენებით, ებრძვიან არსებულ ხელისუფლებას, რომელიც, ხან „უნიათოდ“ და ხანაც „უუნაროდ“ მონათლული, არა თუ ვერ უმკლავდება ამ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციას თუ „ნაციონალურ ნარჩენებს“, არამედ ერთგვარად ალაღებს კიდეც და არცთუ იშვიათად პოლიტიკურ თვითგვემასაც ეწევა.

არა გვგონია, ვინმე ჭკუათმყოფელი ფიქრობდეს, რომ ქვეყნისა და ხალხის გაჭირვება თუ კეთილდღეობა ანაღვლებდეს ოდესის გუბერნატორის ორგანოს — „ცრუსთავი-2“-ის ან „კურიერს“, ან „არჩევანს“, ან „ვანოს შოუს“, ან „ქერის უბანს“, ან „PS“-ს, „ბიზნეს კურიერს“ და, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ „განსხვავებულ აქცენტებს“, რომლის უცვლელმა დიასახლისმა კვესიტაძემ კვირა საღამოს კიდევ ერთხელ შეგვახვედრა მწარმოებელ ბულასავით გაფიჟვინებულ სააკანთ ბიჭს... რომელსაც თურმე ყოველღამ ცხადად ესიზმრება, თავისი დამნიშვნელის საწინააღმდეგოდ შეჭრილ მარგველაშვილთან ერთად, ავლაბრის მრავალმილიონიანი სასახლე.

ეს კვირა საღამოს შეხვედრა ნამდვილად არ ყოფილა უბრალო შეხვედრა. ოდესის გუბერნატორის რიტორიკაში ძალზე ხშირად გაისმოდა ნეოფაშისტური აქცენტით წარმოთქმული ორი სიტყვა: **ჩემი ბრძოლა,** რომელმა ორმა სიტყვამაც ბევრს უთუოდ გაახსენა ადამიანების სისხლით გაუმაძღარი ფიურერის „ჩემი ბრძოლა“, რაც, ალბათ, სრულებითაც არ არის შემთხვევითი და ყველა გონიერ ადამიანს დიდად დაფიქრება მართებს, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე.

მით უმეტეს, ალბათ, გახსოვთ, ამასწინანდელ ერთ-ერთ ფარულ ჩანაწერში ეს ჩვენი დროის ახალი ფიურერი საქართველოში შესაძლო სისხლისღვრაზე ლაპარაკობდა და თავისუფლებისთვის ბრძოლის საჭიროებაზე მოგვიწოდებდა (ერთხელ ხომ უკვე გაგვათავისუფლა), რაც ამ კვირა საღამოსაც გაიმეორა: **„თავისუფლებას უნდა დაცვა და თავისუფლებისთვის არის ბრძოლა საჭირო, თუ გინდათ ყველაფრის ჩაბარება უბრძოლველად, ჩააბარეთ, მაგრამ მაშინ მომავალი არა გვაქვს, თავისუფლებას უნდა ბრძოლა, როცა გართმევენ თავისუფლებას, მომავალს, როდესაც თქვენს შვილებს არა აქვთ პერსპექტივა, როცა ქვეყანას ართმევენ“.**

აი ხედავთ, თურმე ამჟამინდელი ხელისუფლება თავისუფლებას გვართმევს, მომავალს გვართმევს, ქვეყანას გვართმევს, ამ ყველაფერს კი დაცვა უნდა, რაც უბრძოლველად არ გამოვა... სისხლის დაუღვრელად შეუძლებელი იქნება...

ერთი სიტყვით, ეს დროებით გაოდესებული, თავისნაირ ხართან „დაბმული“ ბოროტი კაცი აშკარად პოლიტიკური სიმსივნეა, თანაც ავთვისებიანი.

როგორც ჩანს, სასწრაფოდ წინასწარი ზომების მიღებაა საჭირო, ანუ პრევენცია, რათა ამჯერად სოციალურ-პოლიტიკურად ესოდენ ჭრელ საქართველოში წინასაარჩევნოდ ავად მოფუთფუთე „ნაციონალურმა ნარჩენებმა“ უკვე შორს გასული მეტასტაზების სახე არ მიიღონ.

მოკლედ, ოდესის გუბერნატორის „ჩემი ბრძოლა“ ჩვენს საყოველთაო-სახალხო ბრძოლად უნდა ვაქციოთ ამ კერძო, ერთპარტიული ანტიეროვნული ბრძოლის წინააღმდეგ.

სხვაგვარად ყველა გზა მართლაც უფსკრულისკენ მიდის, რომელი უფსკრულის ძირასაც ისევ შურისსაძიებლად პირდაღრენილი „ნაციონალური ნარჩენები“ გველოდებიან თავიანთ ამერიკულ „წითელ კოჭად“ ქცეულ ფიურერთან ერთად...

გურამ წიკლაური

2 შეიცვლება თუ არა თურქეთის საზღვრები საქართველოსა და სომხეთის სასარგებლოდ?

6 ნუ წაართმევთ მიწას გლეხებს!!! წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს თაღლითებს მიწის მიტაცებაში

10 ოლიმპიური სეზონი „ბრინჯაოთი“ გახსნა

შაჰ-დენიზის მილსადენიდან დამატებითი გაზი მოგვეწოდება

ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, რუსულ და აზერბაიჯანულ მხარესთან მოლაპარაკებები საბოლოო ეტაპში მას შემდეგ შევა, რაც 29 თებერვალს ბაქოში სოკარისა და შაჰ-დენიზის საერთაშორისო კონსორციუმთან შეხვედრები გაიმართება.

კალაძის თქმით, ამ დროისთვის მოლაპარაკებები შაჰ -დენიზის მილსადენიდან დამატებითი მოცულობების წამოღების თაობაზე მიმდინარეობს.

19 თებერვალს ვენაში გაზპრომის ხელმძღვანელობასთან გამართული შეხვედრის შესახებ კი, კალაძე ამბობს, რომ რუსულ მხარესთან კონკრეტული შეთანხმება მიღწეული არ არის.

„კონკრეტიკა ჯერ არაფერში არ არის. ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში, ალბათ, რამდენიმე დღეში უკვე ცნობილი იქნება ყველაფერი. 29 თებერვალს მაქვს ვიზიტი აზერბაიჯანში, სადაც შევხვდები სოკარის ხელმძღვანელობას, ასევე გვექნება შეხვედრა შაჰ-დენიზის კონსორციუმთან. აქტიურად ვმუშაობთ, რომ მოვახერხოთ და შესაძლებელი იყოს შაჰ-დენიზის მილსადენში დამატებითი მოცულობების წამოღება. ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილები და ვფიქრობთ, რომ გარკვეულ შეთანხმებას მივაღწევთ და შემდეგ უკვე გვექნება სურათი იმისა, თუ როგორ დავასრულებთ მოლაპარაკებებს გაზპრომთან. ვფიქრობ, მოლაპარაკებების სწრაფად დასრულებას მოვახერხებთ," — ამბობს ვიცე-პრემიერი.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შანტაჟისტი ახვლედიანი მოიშორა?!



ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ უმაღლესმა საბჭომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი თავის გათავისუფლებას პირად შურისძიებას უკავშირებს და მზად არის სარჩელი მოამზადოს.

„ეს არის პირადი შურისძიება, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ასევე, საბჭოს და საბჭოს მდივნის მხრიდან. ეს არის პირდაპირი დევნა, რადგან რა საკითხებზეც საუბრობენ, ეს იყო მოსამართლეების მოთხოვნით და პირდაპირი კანონით მინიჭებული უფლებით განვახორციელე ეს საკითხი. ეს არის აბსურდული აზრი, რასაც აყალიბებენ. მე, რა თქმა უნდა, ვაპირებ გასაჩივრებას. ამ საკითხებს გავდივარ. ეს ასე არ დამთავრდება. დანებებას ნამდვილად არ ვაპირებ", — ახვლედიანი ამ საკითხზე ხვალ პრესკონფერენციას გეგმავს.

ამ გადაწყვეტილებას საბჭოს პრეზიდენტის კვოტით არჩეული ვახტანგ მჭედლიშვილის გარდა, ყველამ დაუჭირა მხარი.

სხდომის დაწყებამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა შოთა გეწაძემ განმარტა, რომ გამოვლინდა შესაძლო დარღვევები, რაც უკავშირდება თბილისის საქალაქო სასამართლოში მენეჯმენტს. აქ საუბარია შესაძლო დარღვევებზე. როგორც ჩანს, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გადაწყვეტილია ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც შედის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში. საუბარია საბჭოს უფლებამოსილებაზე სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციების განსაზღვრის თაობაზე. როგორც ჩანს, ეს ვიწრო სპეციალიზაციები განხორციელებულია თავად საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებული მამუკა ახვლედიანი სასამართლოს მოსამართლედ რჩება.

მამუკა ახვლედიანი დანებებას არ აპირებს!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი თავის გათავისუფლებას პირად შურისძიებას უკავშირებს და მზად არის სარჩელი მოამზადოს.

„ეს არის პირადი შურისძიება, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ასევე, საბჭოს და საბჭოს მდივნის მხრიდან. ეს არის პირდაპირი დევნა, რადგან რა საკითხებზეც საუბრობენ, ეს იყო მოსამართლეების მოთხოვნით და პირდაპირი კანონით მინიჭებული უფლებით განვახორციელე ეს საკითხი. ეს არის აბსურდული აზრი, რასაც აყალიბებენ. მე, რა თქმა უნდა, ვაპირებ გასაჩივრებას. ამ საკითხებს გავდივარ. ეს ასე არ დამთავრდება. დანებებას ნამდვილად არ ვაპირებ", — ახვლედიანი ამ საკითხზე ხვალ პრესკონფერენციას გეგმავს.

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲘᲩᲘᲗᲐ, ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲡ ᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲜ!

● პოლიტიკანების გასაგონად:

ახალი კოალიცია გაიჩითა! ფულს იძლევიან წინასწარ, თუ გაიმარჯვეს, 5 მილიონს თითო დეპუტატზე, თუ წააგებს — 2,5-ს. მსურველები შეიკრიბეთ მეტრო „თავისუფლების მოედანთან" ყოველ კენტ რიცხვში, 18 საათზე.

მარცხენა ხელში უნდა ეკავოთ 1997 წლის ოქტომბრის გაზეთი „ძინ-ძინ".

● ქართულ ოცნებაში მგონი სპარტაკის აჯანყება იწყება. А кто Спартак?..

● კოალიციიდან წასვლა არცერთს არ უნდა, ერთგვარი გარანტირებული სამოთხიდან განდევნა ძნელია. კარგი ნათქვამია თბილისური, „უნდათ ეს იმაში და სული სამოთხეში"... ამათი საქმეც ზუსტად ასეა.

გამიგებთ, ალბათ?!

● აი იმ ხალხზე ვკაიფობ, უმბერტო ეკოს გარდაცვალებაზე ლოყებს რომ იხოკავენ და გი დე მოპასანი სამი კაცი ჰგონიათ.

● რომელი ტიპები ხართ იცით ყველაზე ამაზრზენნი? ყველა მთავრობას რომ ეზეთებით ვითომ რაღაც „მიზეზით". ზოგი გაჭირვებულს იმიზეზებთ, ზოგი მშიერს, ზოგი ობოლს, ზოგი ინვალიდს ... მიშასთანაც გვერდით ყოფნას ცდილობდით, რამისთვის რომ ხელი გამოგეკრათ, ახლა კიდე ჯერ ივანიშვილს შეუძვერით, მერე ღარიბაშვილს, ახლა კვირიკაშვილთან ცდილობთ.

ფუ, რას გავხართ, ვინც არ უნდა იყოთ.

● საოცარი ქვეყანაა საქართველო. ყველა პოლიტიკოსს უწოდებს თავის თავს, ყველას ამბიციები აქვს, არადა ამ დროს ვინ ანიჭებს ამ სტატუსს ადამიანს? არც არავინ! პოლიტიკოსობა არ ნიშნავს რამდენიმე სააგენტოსთვის ფულის გადახდას, რომ უაზრობები ილაპარაკო, პოლიტიკოსობა არ ნიშნავს პოპულიზმს! პოლიტიკოსი არის ადამიანი, ვინც პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრშია და ზურგს თავისი წარსული უმაგრებს, ვისაც პირად ამბიციებზე მაღლა სახელმწიფო ინტერესები უყენია და ვისაც საკმარისი ცოდნა, გამოცდილება, პატიოსნება, დიპლომატია და პატრიოტიზმი გააჩნია!!!

● კორკოტამ არავის არ უმღერა და არასდროს არავისთვის არც უმღერია, ემღერებოდა და მღეროდა, ხან სიხარულით, ხან სევდით, ჩვენ კი ვუსმენდით,ზოგს მოგვწონდა და ზოგს — არა.

კორკოტა კარგი ქართველი კაცია, კარგი ოჯახისა და მეგობრების მქონე კაცი, მე მიყვარს მისი სიმღერა და იუმორი და მისი არსებობა თბილისში.

ᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲐ
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ

◎ ᲣᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲝᲓ!

ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲩᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ?

ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲡ ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ სამხრეთის ფედერალურ ოკრუგში ჩატარებული მსხვილმასშტაბური სამხედრო წვრთნები, რეგიონში სიტუაციის განვითარების თვალსაზრისით, შეშფოთებას იწვევს.

ამ თემაზე სტატიას თურქული გამოცემა „Zaman" აქვეყნებს.

მასალის მიმოხილვას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ:

მანევრები, რომელიც კავკასიაში, შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, 8500 სამხედრო მოსამსახურე, 200 სამხედრო თვითმფრინავი, 20 ხომალდი და დაახლოებით ათასამდე მძიმე ტექნიკა მონაწილეობდა. ძალის დემონსტრაცია მოულოდნელად დაიწყო რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი შოიგუს ბრძანებით. სხვათა შორის, ეს ის შოიგუა, რომელიც ასე მოწონდათ ჩვენს ანალიტიკოსებს მისი წარმომავლობის თურქული ფესვების გამო. ეს მანევრები აშკარა სიგნალია, რომელიც რეგიონულ მოვლენებს, უპირველესად კი სირიის ამბებს უკავშირდება.

რუსეთმა, რომელმაც აფხაზეთში განლაგებული სამხედრო ბაზებით და იქ ჩატარებული სამხედრო წვრთნებით კრიტიკა დაიმსახურა, ახლა ყირიმის გაძლიერებულ მილიტარიზებას ახდენს და ნახევარკუნძულისგან ავანპოსტს ქმნის. ამაზე ჩვენი მასმედია შეშფოთებული წერს.

კუნთების თამაშითა და აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობით, რუსეთი აგრძელებს შიშის თესვას და გავლენის გაფართოებას. ასეთი პროპაგანდის მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება: რუსმა კომუნისტებმა, ლიბერალებმა და ნაციონალისტებმა ერთსულოვნად შეიტანეს დიდი წვლილი იმაში, რომ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების დენონსაციის მიზნით საუბარი დაწყებულიყო.

რუსმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც 1921 წლის მარტ-ოქტომბერში გაფორმებული იმ ხელშეკრულებების დენონსირებაზე ალაპარაკდნენ, რომლებშიც თურქეთის აღმოსავლეთი საზღვრებია განმტკიცებული, საქართველო და სომხეთი საგონებელში ჩააგდეს. ზოგიერთი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს ნაბიჯი რეალური პოლიტიკის წინააღმდეგაა გადადგმული და ლოგიკას არ ექვემდებარება, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ თურქეთის აღმოსავლეთის საზღვარი საქართველო-სომხეთის სასარგებლოდ უნდა შეიცვალოს. მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ თანდათანობით გააქტიურდეს და განხილულ იქნეს ის საკითხები, რომლებიც დღემდე არავის არ დაუყენებია დღის წესრიგში. ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან ეშმაკურ სვლასთან, რომელიც იწყება იდეით „რატომაც არა" და შეუძლია კავკასიაში თურქეთის და დასავლეთის საწინააღმდეგოდ მძაფრი ნაციონალისტური და ექსპანსიონისტური განწყობები ჩამოაყალიბოს. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს სწორედ რუსეთისთვისაა ხელსაყრელი.

ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთში მოქმედი სომხური დიასპორა ამ ნაბიჯებს მხარს უჭერს. რატომღაც ახლა დაიწყეს სომხურმა გაზეთებმა „ორიზონმა", „ასბარეზმა" და სხვებმა შესაბამისი სტატიების ბეჭდვა. მაგალითად, ერთ-ერთი ავტორი უეინ მედსენი თავის სტატიაში წერს, რომ თურქეთი მზადაა ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები შექმნას, სომხეთი ხაფანგში მოაქციოს და ამით რუსეთის ინტერესებს დარტყმა მიაყენოს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მსგავსი ნაბიჯებითა და ინიციატივებით თურქეთი ცდილობს რადიკალური ისლამის გავრცელებას ქრისტიანობის წინააღმდეგ. იგი ამბობს, რომ თურქეთის ასეთ პოლიტიკას კავკასიაში რელიგიური ომის გამოწვევა შეუძლია. კიდევ ერთ პუბლიკაციაში გამოხატულია რუსეთში არსებული ჯავახკთა სომხური დიასპორის მოწოდება, სასწრაფოდ იქნეს მიღებული ზომები თურქეთის წინააღმდეგ.

არის ბევრი მაგალითი იმისა, თუ როგორი კრიზისული სიტუაციის შექმნა შეუძლიათ ამ ცრუ და სინამდვილისგან შორს მდგარ პუბლიკაციებს. მიზანიც რომ არ იქნეს მიღწეული, ისეთი დიდი შიშის ატმოსფეროს ქმნის, რომ ბევრ ქვეყანას სრულიად ეყოფოდა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ძალის დემონსტრაციასთან ერთად ასეთი პუბლიკაციები მთელს მსოფლიოში ვრცელდება. ადამიანთა ცნობიერებაში გაჩენილი კითხვები კი გავლენას ახდენს სახელმწიფოთა პოლიტიკის ფორმირებაზე. ალბათ, გამორიცხული არაა, რომ ჩვენ მალე მოვახდენთ რუსეთის მიმართ კავკასიის სახელმწიფოთა კეთილგანწყობის სიგნალების კონსტატირებას.

საჭიროა ყურადღებით ვადევნოთ თვალი პროცესებს. აზერბაიჯანი ნავთობზე ფასების მკვეთრი დაკლების გამო მზადაა სამხედრო ბიუჯეტი შეამციროს, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს რუსეთის გავლენის დაძლევაში ეხმარება, თბილისი ნატოს მოუწოდებს, რომ რეგიონში უსაფრთხოების ზომები გააძლიეროს და იმავდროულად ცდილობს რუსეთთან ენერგეტიკული თანამშრომლობა გააფართოოს. ანკარა რეგიონის მიმართ ფრთხილად უნდა იყოს: კავკასიაში გრძელვადიანი გეგმები სხვა ქვეყნებსაც აქვთ. კომპიუტერული თამაშების სტრატეგიის დასაწყისშიც კი ჩანს, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამგვარმა სვლებმა.

http://www.zaman.com.tr/yorum_rusya-bolgedeki-nufuzunu-artiriyor_2348119.html

◎ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘ

ᲤᲣᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲓᲔᲡ

ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲨᲘ ᲞᲔᲠᲛᲐᲜᲔᲜᲢᲣᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲡᲐᲪ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ. ᲐᲡᲔᲐ ᲐᲛ ᲯᲔᲠᲖᲔᲪ: ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ, ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ და ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადება მოვიშველიოთ, **თუკი კომპანია მიღებულ მოგებას არ გაანაწილებს, მას დივიდენდების სახით აქციის მფლობელებზე არ გასცემს და სრულად მოახმარს ინვესტირებას საკუთარ წარმოებაში, ის მოგების გადასახადის გადახდისგან გათავისუფლდება.** დაბეგვრის, უფრო სწორად კი მისი გარკვეული სახეობისგან გათავისუფლების ამ მოდელს „ესტონური“ ეწოდება და, ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, წლეულს 1 ივლისიდან შევა ძალაში.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები ყველაზე ერთიანად არ გავრცელდება — **გამონაკლისს წარმოადგენენ სადაზღვევო კომპანიები, კომერციული ბანკები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ასევე არასამთავრობო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.**

ექსპერტთა დიდი ნაწილი ფინანსთა სამინისტროს ინიციატივას დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ეს ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების კარგი სტიმული იქნება. მოგების მთლიანი ოდენობის არა წმინდა სამომხმარებლო, არამედ რეინვესტირების მიმართულებით გამოყენება ახალი სამუშაო ადგილების შექმნასაც შეუწყობს ხელს და სოციალურადაც კარგ შედეგს გამოიღებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ როცა კონკრეტული კომპანია, ვთქვათ, წელს მოგების გადასახადს იხდის, ამავე გადასახადის ავანსი მომდევნო წლის ბიუჯეტშიც აქვს გადასახდელი: მაგალითად, წელს ამ გადასახადმა 100 ლარი შეადგინა, მაშასადამე ყოველ კვარტალში მას სამომავლოდ კიდევ 15-15 ლარი აქვს გადასახდელი. მასშტაბში ეს, ცხადია, შეუდარებლად დიდი ციფრებია, რაც ბევრი მეწარმისთვის უმძიმესი საგადასახადო ტვირთია და თუკი ის მოეხსნება, ეს, უდავოდ, ეკონომიკას წაადგება. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მოგების გადასახადი 15 პროცენტის დონეზე შენარჩუნდება.

ამდენად, ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ბიზნესის მიმართ ძირფესვიანად იცვლება, რაც მანამდე, არსებითად, არასდროს მომხდარა. ყველაფერი ეს, მართალია ასე კი არის, მაგრამ **შემოსატანი სიახლე აუცილებლად სახელმწიფო ბიუჯეტსა და მისი ჩამოყალიბებისადმი მიდგომაზე აისახება, რაც უაღრესად საგულისხმო ცვლილებებს მოითხოვს.**

საქმე ის არის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამტკიცების შემთხვევაში „ესტონური მოდელი“ 1 ივლისიდან ამოქმედდება, ამიტომაც, წლის პირველ ნახევარში (იანვარ-ივნისში), ძველი წესით მომუშავე კომპანიებისთვის შემოსავლის დეკლარირების პერიოდი, როგორც აცხადებენ, 1 ნოემბრამდე განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, ეს გარემოება მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე აუცილებლად აისახება, რომლის შედგენაზე აქტიური მუშაობა უკვე კარგა ხნის დაწყებულია. ბუნებრივია, რომ **მას შემდეგ, რაც მთელი რიგი საწარმო „ესტონური მოდელის“ გარკვეული შეღავათით ისარგებლებს, ბიუჯეტში მოგების გადასახადის ოდენობა შემცირდება, ვინაიდან მოგების გადასახადით მხოლოდ ის კომპანიები დაიბეგრებიან, ვინც მას დივიდენდების სახით გაანაწილებენ. შესაბამისად, ბიუჯეტში დანაკლისის პროპორციულად შესამცირებელი იქნება მიმდინარე ხარჯიც, რომელიც სტრუქტურულად სახელმწიფო აპარატის ადმინისტრირებაზე, სოციალური საჭიროებებისთვის, სხვადასხვა სახეობის სუბსიდიებზე, შიდა და საგარეო ვალების მომსახურებაზე გასაცემი სახსრებისგან შედგება.**

დარწმუნებულები ვართ, საკამათო არ არის, რომ ხარჯის სხვადასხვა კატეგორიიდან, ასე ვთქვათ, „ხელშეუხებელი“, უფრო სწორად კი მძიმედ ხელშესახები **სოციალური** ხარჯია, ვინაიდან, ვერც პენსიებს დააკლდება, ვერც ჯანდაცვას, ვერც შემწეობებს და ა.შ. ბუნებრივია, რომ **ვალებსაც** აუცილებლად სჭირდება მომსახურება. ამდენად, შემცირების თვალსაზრისით ყველაზე „მომხიბვლელი“ (და, ჩვენი ღრმა რწმენით, აუცილებელიც კი!) **ადმინისტრაციული** ხარჯის შეკვეცაა. თანაც საქმე ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის უზარმაზარ სახსრებს ეხება, რაც, ფინანსთა მინისტრის თქმით, დაახლოებით 400 მილიონ ლარს შეადგენს.

გამოცდილება მოწმობს, რომ აღნიშნული სახის საგადასახადო რეფორმებს, როგორც წესი, კარგი შედეგი მოჰყვება, ამდენად, იმედია, გამონაკლისი არც ჩვენ ვიქნებით.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

◎ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ:

„ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐᲛ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲒᲐᲐᲩᲘᲜᲐ“

ᲨᲐᲜᲡᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ, ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ ᲐᲛᲯᲝᲑᲘᲜᲝᲡ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘᲐ, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲮᲚᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲝ �გᲣᲜᲓᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲠᲘᲡᲙᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ? ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ.

— ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲘᲓᲒᲐ, ᲘᲡᲔᲕ ᲛᲝᲣᲒᲕᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ?

— იმ სურათის შედეგად, რაც რეიტინგებმა შექმნა — არც სახელისუფლო პარტიას და არც სხვა ოპოზიციურ პარტიებს არ ჰქონდათ მაღალი რეიტინგი, დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ შეიძლება არჩევნები ნიჰილისტური დამოკიდებულების ფონზე წარიმართოს. თუმცა, ეს საკითხი ბოლო ხანებში ცოტა ჩრდილში მოექცა.

— რა მოტივით მოექცა საკითხი ჩრდილში?

— ჩემი აზრით, კვირიკაშვილის გამოჩენამ გარკვეული სიახლე შეიტანა სახელისუფლებო პარტიის შიგნით. ამდენად, სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც არ დგას ეს საკითხი დღის წესრიგში, ეს არის საკადრო ცვლილება. თუმცა, რამდენად ეყოფა ეს საკადრო ცვლილება სახელისუფლებო გუნდს იმისთვის, რომ საზოგადოებაში ისევ აქტუალური არ გახდეს კითხვა — წავიდეს თუ არა არჩევნებზე, ეს ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ სახელისუფლებო გუნდს წინ საკმაოდ დიდი მარათონი ელოდება, სადაც ყველა დეტალი ძალიან ცხარე დაპირისპირების საგანი იქნება და ამის მაგალითებს უკვე ვხედავთ.

— ბოლო კვლევით, რომელიც დეკემბერში ჩატარდა, 16% ხმას აძლევდა „ქართულ ოცნებას“, 10% „ნაციონალურ მოძრაობას“. ეს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. როგორ ფიქრობთ, რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ამომრჩევლის მხარდაჭერა მიიღოს? ამომრჩევლისთვის რა უფრო მნიშვნელოვანია, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, თუ სამართლიანობის აღდგენა?

— არ ვიცი, მთავარია თუ არა, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილში ძალიან ხშირად ისმოდა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ არ მოხერხდა სამართლიანობის აღდგენა. აღმოჩნდა, რომ დღემდე მაღალ თანამდებობებს იკავებენ ის ადამიანები, რომლებიც ადრე უსამართლოდ იქცეოდნენ. ამგვარი მდგომარეობა უფრო ბუნდოვანი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ეკონომიკური პრობლემები, რადგან ეკონომიკურ პრობლემასთან ბრძოლას, მეტ-ნაკლებად, შეჩვეული ვართ.

2012 წლის არჩევნებში უფრო ხშირად ისმოდა სამართლიანობის აღდგენის პირობა, ამ პირობაზე უფრო მგრძნობიარე იყო ხალხი, ვიდრე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მოსახლეობამ იცის, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება არც ისე იოლი საქმეა, მაგრამ რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ამ თვალსაზრისით, გაცილებით მკაცრია საზოგადოება, ვინაიდან ამ პუნქტის გამოსწორება დიდ დროს და ეკონომიკურ რესურსებს არ ითხოვს. ამ შემთხვევაში ალბათ, ლოგიკურია საზოგადოების რეაქცია.

— საზოგადოების ამ რეაქციის სათავისოდ გამოყენებას შეძლებს იგივე „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც დაწყებული აქვს წინასაარჩევნო კამპანია?

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალიან კარგად იცის პოლიტიკური ბრძოლა, ასე რომ, ამ მხრივ ძალიან სერიოზული მეტოქეა, მაგრამ თქვენ მიერ ნახსენებ კვლევებში ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსია, კერძოდ, მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ ვის რამდენი ხმა აქვს, არამედ რამდენმა პროცენტმა არ იცის, ვის მისცეს ხმა. წესით, ბრძოლა უნდა გაჩაღდეს იმ ამომრჩევლის გარშემო, ვისაც ჯერ არჩევანი არ გაუკეთებია. ეს პროცენტი იმდენად მაღალია, რომ ამისთვის ბრძოლა ნამდვილად ღირს, რადგან სწორედ ამომრჩევლის ეს რაოდენობა გადაწყვეტს არჩევნების ბედს.

— დღეს რომ არჩევნები იყოს, დაახლოებით რამდენ პროცენტს მიიღებს მმართველი ძალა?

— შანსები მაღალი აქვს „ქართულ ოცნებას“, დაახლოებით 60% ან მეტი, სწორედ იმ მოსახლეობის არსებობის გამო, რომლებსაც ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის სასარგებლოდ გააკეთებენ არჩევანს. მე მგონია, რომ შანსები საკმაოდ მაღალი აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციასაც. მეეჭვება, რომ შანსები გაეზარდოთ ნაციონალებს — მათი რეიტინგი არ მატულობს. ძალიან ცოტა რამ გააკეთეს იმისათვის, რომ შეცვლილიყო მათი მდგომარეობა.

მაგალითად, კვირიკაშვილის გამოჩენამ ცვლილებების მოლოდინი გააჩინა „ქართული ოცნების“ ამომრჩეველში. ანალოგიური ცვლილება სჭირდება „ნაციონალურ მოძრაობასაც“. ვნახოთ, შეიძლება მოგვიანებით გადაწყვიტონ საკარდო სტრატეგიის შეცვლა. თუმცა, მეეჭვება, რომ საკადრო ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონის არჩევნების შედეგებზე.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

◎ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲔᲑᲘ

ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲡᲐᲑᲭᲝ ᲘᲛᲡᲯᲔᲚᲔᲑᲡ

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ მინისტრი კახა კალაძე აცხადებს, რომ „რესპუბლიკურ პარტიასა“ და „მრეწველებს“ შორის დაპირისპირების განხილვა პოლიტსაბჭოს ფორმატში უნდა მოხდეს. მისი შეფასებით, „ძალიან ცუდია, როცა ეს თემა საᲐშკარაოდ გამოდის“ .

ვიცე-პრემიერი იმედოვნებს, რომ საკითხზე პოლიტსაბჭო უახლოეს დღეებში შეიკრიბება.

მიმაჩნია, რომ ეს თემა უნდა დალაგდეს, გადაწყდეს თვითონ გუნდში, პოლიტსაბჭოზე უნდა მოხდეს ამის განხილვა. უახლოეს დღეებში, ალბათ, პოლიტსაბჭო შეიკრიბება და ამ მიმართულებითაც გვექნება მსჯელობა, — განაცხადა კახა კალაძემ.

რესპუბლიკურმა პარტიამ განცხადება გაავრცელა და განაცხადა, რომ კოალიციაში არსებულ დაპირისპირებაზე საჯარო დებატებს ამ ეტაპზე წყვეტს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲝᲤᲐᲫᲔᲡ ᲣᲢᲔᲕᲡ!

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი „მრეწველების“ ლიდერ გოგი თოფაძეს მოუწოდებს, დატოვოს როგორც კოალიცია, ისე „მრეწველების“ პარტია. როგორც ბერძენიშვილმა განაცხადა, მნიშვნელოვანია, გაიმართოს პოლიტსაბჭოს სხდომა, სადაც აღნიშნული საკითხი უნდა განიხილოს.

რაც შეეხება თავად რესპუბლიკელების გეგმებს, ბერძენიშვილის თქმით, პარტია კოალიციაში დარჩება.

„ჩვენ კოალიციიდან არ გავალთ. სხვები თვითონ გადაწყვეტენ. მე ვთვლი, რომ მრეწველების ადგილი არის კოალიციაში. ბატონი გოგის ადგილი არ არის არც კოალიციაში და არც „მრეწველებში“. ეს არის ჩემი პირადი აზრი“, — ამბობს ბერძენიშვილი. „რესპუბლიკელების“ წევრი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის მიმართ თოფაძის მხრიდან გამოთქმულ ბრალდებებსაც გამოეხმაურა.

„ჩვენი მინისტრი მუშაობს კარგად. თინა ხიდაშელი მუშაობს ძალიან კარგად. მე, როგორც ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ერთგული ვარ ევროპასთან ინტეგრაციის იდეისა. ვინც არ არის ერთგული ამ იდეის, მისი ადგილი არ არის კოალიციაში და ჩვენი ადგილი არის იქ, სადაც ვართ“, — ლაასკვნა ლევან ბერძენიშვილმა.

ᲥᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ქართველი მეზაღურები – საკუთარ ბადეში!..

საქართველოს შავი ზღვის აკვატორია და სამამულო თევზჭერის დარგი ნადგურდება...

სამწუხაროდ, 1992-2016 წლებში შავი ზღვის აკვატორიას საქართველო ვერ უწევს პატრონობას, რითაც ზარალდება ქვეყნის ეკონომიკა, ზიანდება ბუნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საagენტომ „დრო და სივრცე“ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება. დღეს ვაქვეყნებთ ინტერვიუს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან მაია შავლაყაძესთან.

– ქალბატონო მაია, საბჭოთა საქართველოში აღნიშნულ აკვატორიაში ტარდებოდა თუ არა რაიმე სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები?

– მოდით, რახან საგაზეთო ფართი ამის საშუალებას არ გვაძლევს, თემას ფრაგმენტულად მაინც შევეხოთ... მანამდე, სათევზმეურნეო-ეკოლოგიური მეცნიერების დარგის კვლევები შედიოდა სახელმწიფოს ინტერესების დაცვის სფეროში. ჯერ კიდევ 1932 წელს დაარსდა ზღვის ეკოლოგიის „ადათევზის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ის იყო დაკავებული შიდა სახმელეთო წყალსატევების და შავი ზღვისპირეთის ქვეყნებთან ერთად აუზის კომპლექსური წყლის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობის დადგენით, ბაქტერიოლოგიურ, ფიტო და ზოოპლანქტონურ, ზოობენთოსურ, იქთიოლოგიური, ანუ თევზის საარსებო გარემოს შესწავლის და თევზის, როგორც ბიორესურსის რაციონალური ექსპლუატაციის საფუძვლების შექმნით. მოკვლევები მკაცრად ხორციელდებოდა საერთაშორისოდ უნიფიცირებული მეთოდების გამოყენებით. ინსტიტუტს გავლილი ჰქონდა რუსული და ევროპული აკადემიური სკოლა. ხელისუფლება სრულად ითვალისწინებდა ინსტიტუტის დასკვნებს.

1996 წლიდან ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ზღვის ბიომრავალფეროვნების დაცვის რეგიონალური ცენტრი, რომელიც აწარმოებდა შედეგების ურთიერთგაცვლას, მონაწილეობდა გაეროს შავი ზღვის ეკოლოგიური პროგრამის და სხვა ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ საერთაშორისო პროექტებში და კონფერენციებში, აქვეყნებდა შესაბამის პუბლიკაციებს. მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური დეგრადაციის შედეგად ინსტიტუტმა დაკარგა მცურავი საშუალება, თუმცა საერთაშორისო დახმარების გამოყენებით მაინც აგრძელებდა ფუნქციონირებას. საბოლოოდ „ცენტრმა“, როგორც სამეცნიერო-კვლევების ორგანიზაციის, მნიშვნელობა 2004-2012წ.წ. კატასტროფულად დაეცა. „ცენტრიდან“ დაითხოვეს თანამშრომლები, რისი ძირითადი მიზეზი იყო მაშინდელი პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის და მთავრობის მისამართით გაგზავნილი საპროტესტო წერილები, რომლებშიც ვაპროტესტებდით ინსტიტუტის დაშლას. მაშინდელმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ „კონკურსის“ შედეგების საფუძველზე მე და კიდევ არაერთი მოქმედი თანამშრომელი მეცნიერი დაგვითხოვა სამსახურიდან. ჰარმონიული ჩანაცვლების სანაცვლოდ ასე დაიწყო თაობათა დაპირისპირება, ხოლო ინსტიტუტი, ანუ „ცენტრი“ 2006 წელს გადააქციეს მეთევზეობის და შავი ზღვის მონიტორინგის სამმართველოდ. შემდგომ კი „ოცნების“ მმართველობის დროს, სამმართველოს უწოდეს სამსახური. ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი წარმომადგენლები მარაგის შესწავლის სპეციალისტების ნაცვლად, იძულებული გახდნენ ინდმეწარმის სტატუსით დაესაქმებინათ სამმართველოს ფარგლებს გარეთ. კვლევები მაინც ხორციელდებოდა პერიოდულად საქართველოს თევზის მომპოვებელი ლიცენზიანტების ასოციაციის ფინანსური დახმარებით. ასოციაციამ თავის თავზე აიღო სეინერებით უძრუნველყოფა. ჩატარებულმა კვლევებმა დროის და აპარატურის არასაკმარისობის გამო უარყოფითად იმოქმედა მიღებული შედეგების სრულყოფაზე. საქართველოში სათევზმეურნეო-ეკოლოგიური მეცნიერება განვითარების ნაცვლად ძირშივე იქნა ლიკვიდირებული და იგნორირებული. ამ დროს აკვატორიაში თევზის მარაგი თვისობრივად და რაოდენობრივად მკვეთრად გაუარესდა, რასაც საფუძვლად ედო რეწვის პროცესი, რასაც საფუძვლად ედო რეწვის პროცესი, რომლის იურიდიული და ეკონომიკური სახე ყოველგვარ ნორმებს სცილდებოდა. ამან გამოიწვია ის, რომ ქვეყანა დღემდე ვერ გრძნობს თავს შავი ზღვის კოლექტიურ მეპატრონედ. ერთადერთი, რაც, კერძოდ, ბათუმს დღემდე შერჩა, ყოფილი ინსტიტუტის სადემონსტრაციო განყოფილების – დელფინარიუმის ფუნქციონირებაა. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ქვეყანაში შექმნილ ქაოსში უკანასკნელსაც იგივე ბედი ეწევა, რაც ინსტიტუტს.

– შექმნილ მდგომარეობაში, როგორ აფასებთ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების, მეცნიერების ეროვნული აკადემიის, აჭარის ა/რ-ის და ქვეყნის მთავრობის საქმიანობას?

– გასაგებია, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიზნებში არ შედის მეცნიერების განვითარება და ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრეროგატივაა, რომელმაც ირჩია ნეიტრალური პოზიცია. მეცნიერების ამ დარგით დაინტერესება, სამწუხაროდ, არც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, არც ბათუმის და არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებს გამოუჩენიათ. რაც შეეხება რეგიონის და ქვეყნის მთავრობას, მათ არც აინტერესებთ და არც აწუხებთ შავი ზღვის საქართველოს აკვატორიაში შექმნილი საგანგაშო, განადგურების დონემდე მიყვანილი, მდგომარეობა. საქართველოს სახელმწიფოს დღემდე არ გააჩნია თევზის მეურნეობის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც საზღვაო და შიდა წყალსატევების მეურნეობის საქმიანობას დაარეგულირებდა.

– როგორ აფასებთ საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებს შავ ზღვასთან დაკავშირებით?

– საქართველომ მოახდინა რამდენიმე საერთაშორისო კონვენციის რატიფიკაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეროს საზღვაო კონვენცია, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობის ქვაკუთხედად მიიჩნევა, მაგრამ ვერ მოხერხდა შავი ზღვის დაბინძურების ბუქარესტის კონვენციაში ჩართვა. საქართველო დღემდე არ შეურთდა რიო-დე-ჟანეიროს კონვენციას ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ და ოდესის დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებს ზღვის დაცვის დეტალურ ზომებს. 1993 წელს ჩამოყალიბდა შავი ზღვის გარემოსდაცვითი პროგრამა. მისი ამოცანა იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სპეციალისტების და დაინტერესებულ პირთა ძლიერი საერთაშორისო ქსელის შექმნა. პროგრამას ხელმძღვანელობდა შექმნილი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ყველა ქვეყნის მთავრობის, სპონსორების და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა შავი ზღვის რეაბილიტაციისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. ხელმოწერის დღე 1996 წლის 31 ოქტომბერი შავი ზღვის დაცვის დღედ გამოცხადდა. შესაბამისი გეგმა შემუშავდა საქართველოშიც. ფინანსური და დიპლომატიური საკითხების ხანგრძლივი განხილვების გამო ამ უკანასკნელის ამუშავება ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელი გახდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებობდა თევზის მეურნეობის დეპარტამენტი, რომლის ფუნქცია იყო თევზჭერის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი. დეპარტამენტის მეშვეობით 2004 წლიდან უნდა დაწყებულიყო საქართველოს თევზის მეურნეობის სექტორის აღორძინების მხარდამჭერი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების რეალიზაცია, რომელთა განხორციელება უნდა მომხდარიყო თევზის მეურნეობის სექტორის 2005-2020 წ.წ. განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით. გეგმა არ შეიქმნა და, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ხსენებული პროექტების რეალიზაცია ჩანასახშივე შეწყდა.

– თუ შევეხებით ქაფშიის მარაგს და თევზჭერის სეინერების ოდენობას და მდგომარეობას, ამ კუთხით რა ერგო დამოუკიდებელ საქართველოს?

– 1992 წელს ქაფშიის ყოველწლიური საშუალო მარაგი შეადგენდა 270 ათას ტონას და 2-7 ათას ტონას ყოველწლიური ნადავლი ჰქონდა. ამორტიზირებული სამამულო თევზმჭერი ფლოტი 36 ერთეული საშუალო სიმძლავრის სეინერი. დღეს მათი რაოდენობა დაყვანილია 20-მდე, რაც ოფიციალურად არც რეგისტრირდება. ირიცხება 43 (36) სეინერი. მონაცემებში არ ფიგურირებს აფხაზეთის სანაპიროზე კონცენტრირებული ქარავნის ოდენობა, ჭერილი და ჭერის საშუალება. პრობლემებს ქმნის ქვეყნისთვის საკეთილდღეო გასაღების ბაზრის უქონლობა, საწვავ-საპოხის სიძვირე, სათადარიგო ნაწილების არარსებობა და სხვა. 1997 წლიდან ქაფშიის ჭერის მოცულობა გაიზარდა უკრაინული და თურქული სეინერების შემოსვლით. უკრაინის მხარესთან გაფორმდა ხელშეკრულება თევზჭერის თაობაზე, ხოლო თურქეთთან აღნიშნულს ადგილი დღესაც არ აქვს. 1997-2004 წ.წ. ქაფშიის ბიომასის შეფასება თევზჭერის სეზონზე ხდებოდა საქართველო-უკრაინის ერთობლივი კვლევის შედეგად. გამოიყენებოდა ჰიდროაკუსტიკური დანაკარგი მარაგის პირდაპირი შეფასებისათვის, რომელსაც უზრუნველყოფდა უკრაინული მხარე. ქართველი ექსპერტები კი მათემატიკური მოდელირებით, ეკოლოგიური სიტუაციის განსაზღვრის ფონზე ახდენდნენ რეტროსპექტრულ გაანგარიშებებს.

– როგორ აფასებთ ე.წ. თურქეთის ფაქტორს საქართველოს შავი ზღვის აკვატორიასთან დაკავშირებით?

– 90-იანი წლების დასასრულისათვის თურქეთის ტერიტორიულ წყლებში სეინერების რაოდენობა აღწევდა 250-350 ერთეულს, ხოლო ჭერილი 300 ათას ტონამდე გაიზარდა, რითაც ჩავარდა საფრთხეში ქაფშიის მარაგი შავ ზღვაზე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ უცხოელებს 1 ტონაში მხოლოდ 3 აშშ დოლარს ახდევინებდნენ, მაშინ როცა საზღვარგარეთ თითქმის იგივე თანხა ღირდა 1 კგ ქაფშია. ამასთან გაედინებოდა უფრო მაღალი კვებითი ღირებულების მქონე ქამბალა-კალკანი, ხონთქარა, მერლანგი. ნადავლი, ფაქტობრივად, აღურიცხავი რჩებოდა.

90-იანი წლების დასასრულისათვის თურქეთის ტერიტორიულ წყლებში სეინერების რაოდენობა აღწევდა 250-350 ერთეულს, ხოლო ჭერილი 300 ათას ტონამდე გაიზარდა, რითაც ჩავარდა საფრთხეში ქაფშიის მარაგი შავ ზღვაზე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ უცხოელებს 1 ტონაში მხოლოდ 3 აშშ დოლარს ახდევინებდნენ, მაშინ როცა საზღვარგარეთ თითქმის იგივე თანხა ღირდა 1 კგ ქაფშია.

საზღვაო თევზჭერის საქმიანობაში ვითომდაც ბიუროკრატიული მექანიზმების და კორუფციის შემცირების მიზნით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ჩათვალა საჭიროდ ჩაეტარებინა აუქციონი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ის სამამულო იურიდიული პირები, რომლებსაც საკუთრებაში ან განკარგვაში ჰქონდათ სეინერები... რაც მათ იმ დროისათვის არ გააჩნდათ. 2006 წლიდან ქაფშიის ჭერის 10-წლიანი ძვირად ღირებული ლიცენზია აუქციონის წესით გაიყიდა. აუქციონზე გამარჯვებულმა სამამულო ფირმებმა შექმნეს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაცია. ქართულმა ფირმებმა თევზჭერის უფლება 8 მლნ. ლარად შეიძინეს, ხოლო ყოველწლიურად რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი 1 ტონა ქაფშიაზე 25 ლარის დაფიქსირებით 1,5-1,6 მლნ. ლარს შეადგენდა. ფაქტობრივად, გაიყიდა ჯერ კიდევ არგაჩენილი თევზის დაჭერის უფლება. ლიცენზიანტებს უფლება მიეცათ რეწვისათვის გამოეყენებინათ თურქული წარმომავლობის სეინერები ლიზინგის სახით. იჯარით სარგებლობამ განაპირობა ქაფშიის თითქმის მთელი ნადავლის თურქეთში გადინება. ფაქტობრივად, თურქეთის სეინერები დღემდე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში საერთაშორისო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში ეწევიან რეწვას. ამასთან, ოპერირება ხდება შიდა წყლებში და არა ეკონომიკურ ზონაში, როგორც ამას საზღვაო კონვენცია ითვალისწინებს, ისიც ჭარბი მარაგის შემთხვევაში. უფრო მეტიც, არალეგალური ჭერა მიმდინარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის ზონაშიც. ასევე, რეწვა მიმდინარეობს საქართველოს კანონების დარღვევით. თანამედროვე ჰიდროლოკაციის ჰორიზონტალური ტრაქტითა და აკუსტიკური აპარატით აღჭურვილი თურქული სეინერები კანონებიდან თევზის მოპოვებას ადვილად ახერხებენ, ხშირად ზღვაში ყრიან მცირე ზომის თევზს. თურქული წარმოშობის სეინერი და ჭერის იარაღი ბევრად აღემატება ქართული წარმოშობის იგივე საშუალებებს. თურქული ფლოტის სიმძლავრე 720-3648 ცხ.ძ შეადგენს; ქართული თევზმჭერი ფლოტის სეინერთა ძრავის სიმძლავრე, ძირითადად, 40-220. საქართველოს სანაპიროზე თურქი მეთევზეები ქაფშიის მოსაპოვებლად 1500-1800მ (ნაცვლად 400მ) სიგრძის ქისა ბადეს იყენებენ, რაც ქართული კანონმდებლობით დაუშვებელია და საქართველოს ადგილობრივი თევზჭერის სეინერების მფლობელების კანონიერი უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზიცაა. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე მათ შექმნეს და დაარეგისტრირეს „საქართველოს მეთევზეთა კავშირი“. პრაქტიკულად იმავე დროს ჩვენს ქვეყანაში დარეგისტრირდა „საქართველოს თურქ მეთევზეთა ასოციაცია“, რომელთა წევრებს წარმოადგენენ თურქეთის მოქალაქეები. როგორც ჩემთვის ცნობილია, იუსტიციის სამინისტროს და მასში შემავალი საჯარო ეროვნული რეესტრის ხელმძღვანელობა ამგვარ ფაქტზე არანაირ რეაგირებას არ აკეთებდა. უფრო მეტიც, თვლიდა, რომ ამ ასოციაციის შექმნით არც საქართველოს და არც საერთაშორისო კანონდებლობა არ დარღვეულა... აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მეთევზეები ნაკლებად არიან დასაქმებული რეწვის პროცესში.

შოთა რუსთაველი, პავლე ინგოროყვა და თურქეთელი ქართველები

როგორც იტყვიან, ფაქტები კომენტარს არ საჭიროებენ. ქართველი მეთევზენი უკმაყოფილებას გამოთქვამენ. თურქეთის მხარის მიერ ქაფშიასთან ერთად უცხოეთში გადის მერლანგისა და ხონთქარას ჭერილი. ფსკერისპირას ბინადარი ეს ორი სახეობის თევზი ნებადართული ქისა ბადით არ მოიპოვება, არც მისი გატანა იყო გათვალისწინებული თურქეთში. პრობლემურია ქაფშიის ჭერის იარაღის შერჩევა, საყოველთაოდ მიღებულია ქაფშიის ქისა ბადით მოპოვება. ქართველი სამამულო მეთევზეები მწარე იუმორით ღიად აცხადებენ – ტრალით ისე გადაიხნა საქართველოს სანაპირო, რომ შესაძლებელი გახდა სიმინდის დათესვაო! რადგან ლიცენზია მოპოვებული თევზის 2/3-ის ხმელეთზე გადამუშავების ვალდებულებას ითვალისწინებდა, მხოლოდ 1/3-ის ოდენობის გატანის უფლება მიეცათ, მაგრამ აქცია ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი არ აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის, რამდენადაც ექსპორტზე გადიოდა არა თევზის პროდუქცია, არამედ, ფაქტობრივად, ნედლეული ახლადგაყინული სახით. ჩვენგან გატანილი ეს პროდუქცია კი დიდი მოგების შემძენია ევროპის ბაზარზე თურქებისათვის. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ფასების შენარჩუნების მიზნით ადგილობრივი მეთევზეები ჭერის ინტენსიობას ანელებდნენ. ბუქარესტის კონვენციის იმპლემენტაციის მიზნით შექმნილ საზღვაო კონვენციურ ინსპექციას, რომელიც მოწოდებულია ნავთობით დაბინძურების აღსაკვეთად, დაევალა თევზჭერის ლიცენზიის პირობების კონტროლი. ჭერილის ფიქსირებაც კი ინსპექციის მოვალეობაში შედის. ყველაზე დიდი პრობლემა კი სწორედ თევზჭერის კონტროლია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო-გამშვები პუნქტების მონაცემებით ხდება გატანილი თევზის ოდენობის გადამოწმება. დიდი სხვაობა აღმოჩნდა ჩვენსა და თურქეთის საბაჟოს მონაცემთა შედარებისას, ანუ თურქეთის მხარე აფიქსირებს ბევრად უფრო დიდი მოცულობის საქონელს ვიდრე საქართველო. ყოველივე ეკონომიკურად წამგებიანია.

– რას იტყვით ბათუმში განლაგებულ თევზჭერის სეინერების შესახებ?

– დღესდღეობით, ფაქტობრივად, ყოველივე მათგანი სასეირნო კატერებად არიან გადაყვანილი და ეს იმიტომ, რომ ისინი ვერ უწევენ კონკურენციას თურქეთის სეინერებს, რომელთა ე.წ. საქმიანობა საქართველოს აკვატორიაში ჩემი, როგორც მეცნიერის, ბიოლოგის და არა იურისტის შეფასებით დანაშაულებრივი ხასიათისაა. უფრო მეტიც, ისინი აშკარად აზიანებენ ჩვენს აკვატორიას და მნიშვნელოვნად აზარალებენ საქართველოს სახელმწიფოს ბიუჯეტს, ანადგურებენ შავი ზღვის მეთევზეობის სამამულო დარგს და, თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში დარგი საერთოდ არ იფუნქციონირებს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, საქართველოს თევზის საზღვაო მეურნეობისთვის მტკივნეული, ანუ საზარალო აღმოჩნდა განუკითხაობის წლებში ბათუმის თევზის პორტის მოშლა. პორტი განვითარებული ინფრასტრუქტურით – საზღვაო, საავტომობილო, სარკინიგზო კვანძით, მძლავრი სამაცივრო დანადგარებითა და ტექნოლოგიური ხაზებით გამოირჩეოდა. სადღეისოდ კი ბათუმში დაიშალა თევზმჭერი კომპანიები, დარჩენილი სეინერებისათვის ნავმისადგომიც მიუწვდომელი გახადეს და იახტკლუბის მოწყალების იმედზე დატოვეს.

თენგიზ ჩხიკვაძე,
ვადიმ დგებუაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

წელს აღინიშნება შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავი.

ნახევარი საუკუნის წინათ აღინიშნა 800 წლისთავი.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაბადების თარიღი გაარკვია **პავლე ინგოროყვამ**, ყოველ შემთხვევაში, უფრო სარწმუნო მონაცემები არ არსებობს რუსთველოლოგიაში და ამიტომაც იმჟამინდელი ხელისუფლება მის ძიებებს დაეყრდნო მსოფლიო მასშტაბის დღესასწაულის გადასახდელად... მაგრამ ისე კი მოხდა, რომ აღმომჩენი ამ თარიღისა საერთოდ ჩამოაშორეს ზეიმის დღეებს. საქართველოს მწერალთა კავშირმა ისარგებლა კომუნისტური პარტიის თანადგომით და პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ძიებანი, ასახული მონოგრაფიებში – **„რუსთველიანა“, „რუსთველიანას ეპილოგი“** და **„შოთა რუსთაველი (1166-1250)“** – გამოაცხადა მეცნიერების მიღმა მდგომ გამოკვლევებად.

ეს ყოველივე ნაამბობია **როსტომ ჩხეიძის** ბიოგრაფიულ რომანში **„ბედი პავლე ინგოროყვასი“,** რომელშიც კიდევ უამრავი დაფარული რამ ამოვიდა მზის სინათლეზე და სულ სხვაგვარად წარმოდგა XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-კულტურული პროცესები.

ეს ბიოგრაფიული რომანი უკვე მესამედ გამოიცა. პირველ და მეორე გამოცემებს საკმაო გამოხმაურება მოჰყვა ქართულ პერიოდიკასა და ტელემაუწყებლობებით, მესამემ კი უკვე გადალახა საქართველოს საზღვრები და თურქეთელი ქართველების ყურადღების შუაგულშიც მოექცა.

„რუსთაველი და მსოფლიო“ – ამ სახელწოდებით ქალაქ სტამბოლის **„ქართული ენის ცენტრში“** (ხელმძღვანელი **ეშრეფ ილმაზ-მახარაძე**) გაიმართა ცნობილი მწერლისა და მკვლევარის, საზოგადო მოღვაწის როსტომ ჩხეიძის წიგნის **„ბედი პავლე ინგოროყვასი“,** პრეზენტაცია. რადგან რუსთაველისა და მისი ეპოქის შეცნობა პავლე ინგოროყვას ფასდაუდებელი კვლევების გარეშე შეუძლებელია.

ღონისძიებაში მონაწილეობისათვის მოწვეულნი იყვნენ თურქეთელი ქართველები და ქართული კულტურით დაინტერესებული თურქი ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ მიერ დასმულ ყველა საინტერესო კითხვას ღრმაშინაარსიანად და ამომწურავად პასუხობდა ღონისძიების განმავლობაში თბილისაიდან ინტერნეტის მეშვეობით ჩართული როსტომ ჩხეიძე, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა და გაამძაფრა თურქეთელ ქართველებში ეროვნული ფასეულობებისადმი სიყვარული და

ქართველობის სიამაყე, ხოლო დანარჩენ სტუმრებში – პატივისცემა ქართული კულტურისადმი. როსტომ ჩხეიძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა „ქართული ენის ცენტრის“ ხელმძღვანელს, ბატონ ეშრეფ ილმაზ-მახარაძეს ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის.

ეს მოკლე ინფორმაცია დაიდო „ქართული ენის ცენტრის“ საიტზე, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის საგულისხმო იქნება ზოგიერთი დამატებითი ცნობის მიწოდებაც.

ამ ცენტრის ხელმძღვანელი და დამფუძნებელი **ეშრეფ ილმაზ-მახარაძე** ფილოლოგია, თურქული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. ამჟამად პენსიონერი, პოეტი, პუბლიცისტი. იბეჭდებოდა **ახმედ მელაშვილის** მიერ დაფუძნებულ ჟურნალში

როსტომ ჩხეიძის ვირტუალური ლექცია თბილისიდან სტამბოლში

„ჩვენებურები“. თურქულად თარგმნა დავით მაღრაძის ორი პოეტური კრებული. გამოსაცემად მომზადებული აქვს წიგნი „ილიას კვალზე“, რომელიც ასახავს 15 წლის განმავლობაში მისი და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობას ქართული კულტურის პროპაგანდისათვის. ამჟამად ენის ცენტრში გამოსცემს ჟურნალს, რომელიც აქაურ ქართველებს აწვდის ინფორმაციებს ქართულ კულტურაზე. 90-იან წლებში პირველად ჩამოსულა საქართველოში და თბილისის მეტროში რომ ქართულად ასე ხმამაღლა გამოცხადდა: შემდეგი სადგური ესა და ესო, ცრემლები წამოსვლია: მაშინ ვიგრძენი, რომ მართლა გვქონია ქვეყანა, სადაც ჩვენ დედაენაზე ასე ხმამაღლა გამოცხადება შეიძლებაო. იმდენად დიდი პატრიოტი

და მოსიყვარულეა ქართველობისა, რომ, ფაქტობრივად, ენთუზიაზმით მუშაობს და ქართული ენის ცენტრის ოფისის ხარჯებსაც საკუთარი პენსიიდან იხდის. არ ტოვებს აღუნიშნავად არცერთ ეროვნულ დღესასწაულს.

ეშრეფ ილმაზ-მახარაძემ ლექტორთან საჯარო დიალოგისას ესეც თქვა:

– გული მწყდება, რომ აქამდე პავლე ინგოროყვა გაგონილი არ მქონდა, თორემ ამ 15 წლის განმავლობაში რამდენ რამეს გავიგებდით და ვისწავლიდით. აქ ვინ არ ჩამოდის, ვინ არ გვეცნობა, მაგრამ ჩვენთვის არავის მოუწოდებია ასეთი მნიშვნელოვანი ამბები. მადლობელი ვართ **მარინა გელაშვილისა,** თქვენი თავი რომ გაგვაცნო და პავლე ინგოროყვას ამბებიც გაგვაგებინა.

მერე დამსწრე საზოგადოებას მიუბრუნდა:

– აქამდე არც მქონდა გაგონილი პავლე ინგოროყვას სახელი, და როგორც კი გავიგონე, მივხვდი, რომ საჭირო იყო შემეკრიბეთ და თქვენთვისაც მომეწოდებინა ეს ყოველივე, რათა ჩვენებურებსაც კარგად გაგეცნოთ. აუცილებელია როსტომ ჩხეიძე მოვიწვიოთ სტამბოლში და ერთობლივად მოვაწყოთ კონფერენცია რუსთაველზე.

მუსტაფა ხიმშიაშვილი – პუბლიცისტი. ახმედ მელაშვილის თანამოაზრე და მხარდამჭერი. 1993 წელს ჟურნალ „ჩვენებურების“ ერთ-ერთი აღმდგენელი და რედაქციის წევრი. მან თქვა:

– პავლე ინგოროყვას სახელი გაგონილი მქონდა, ჟურნალ „ჩვენებურებშიც“ დავბეჭდეთ მოკლე ცნობები, მაგრამ რაც დღეს აქ მოვისმინე ბატონი როსტომისგან, ასე ვრცლად არ ვიცოდი. ძალიან დავინტერესდი და ამიერიდან მეტად მოვიძიებ და წავიკითხავ.

ტუფან ლომინაძე – ჟურნალისტი. ერთ-ერთი ტელევიზიის თანამშრომელი. წარსულში სხვადასხვა ტელევიზიის დირექტორიც ყოფილა. აქტიურად ეწევა ქართული კულტურის პროპაგანდას. სასამართლო წესით უარი თქვა თურქულ გვარზე და ოფიციალურად დაირეგისტრირა ქართული გვარი. ღონისძიების ბოლოს განაცხადა:

– ნაკითხი კაცი ვარ, მაგრამ პავლე ინგოროყვას შესახებ აქამდე არაფერი მსმენოდა. მადლობელი ვარ ბატონი როსტომისა, ასეთი დიდი ადამიანი რომ გაგვაცნო, და თვითონ როსტომ ჩხეიძის გაცნობაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო. რუსთაველი კი ვიცოდი, თუმცა პავლე ინგოროყვასეული თვალთახედვით ბევრად უფრო საინტერესო გახდა ჩემთვის. სტამბოლის მსოფლიოს საპატრიარქოში მითხრეს, რუსთაველზე ცნობები ჩვენს არქივში მე-16 საუკუნიდან მოიპოვებაო.

ფაზილ ჭაია ყოველგვარი ქართულის ჭირისუფალი და გულშემატკივარი. თავის დროზე ქართული კულტურის ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

ორჰან ბერიძემ 45 წლისამ ისწავლა ქართული და დაეწაფა „ვეფხისტყაოსნის“ სწავლას. შვილს, რომელსაც ჰქვია სეფა, მიუმატა შოთა. და დღეს **შოთა სეფას** უწოდებს. ასწავლის „ვეფხისტყაოსანს“ და მამაშვილი დუეტში კითხულობენ ცალკეულ ფრაგმენტებს ყველა ღონისძიებაზე. პავლე ინგოროყვა ამ ღონისძიებაზე გაიცნო. რამდენადაც რუსთაველით დაინტერესებულია, გაიხარა, რომ რაც აქამდე არ სმენოდა, ის გაიგო. დაინტერესდა, რომელ ენებზეა თარგმნილი რუსთაველის ეპოსი და რომელია მათ შორის საუკეთესო თარგმანიო. აღმოჩნდა, რომ ყველაზე სრულყოფილი თარგმანი ებრაულად შესრულებულა **ბორის გაპონოვის** მიერ.

მანანა გურგენიძე – საქართველოდან ერთ-ერთი მაძიებელი ქალი სამუშაოსი, რომელსაც ბედმა გაუღიმა და დღეს ქართულს ასწავლის ქართული კულტურის ცენტრში. ასევე სხვადასხვა პრესტიჟულ სასწავლებელში კონკურსების წარმატებით გავლის შედეგად მოიპოვა რუსული ენის საათები. მისთვის სასიხარულო იყო როსტომ ჩხეიძესთან შეხვედრა და მოსმენა. პავლე ინგოროყვას **„გიორგი მერჩულე“** მამაჩემის სამაგიდო წიგნი იყო და ამ წიგნზე გავიზარდეო.

რამდენადაც ქართულად სიღრმისეულად ყველა ვერ კითხულობს, ყველა გაახარა როსტომ ჩხეიძის მიერ შეთავაზებულმა წინადადებამ, რომ თურქულად ითარგმნოს რუსთაველის პოემის ფრაგმენტები და პავლე ინგოროყვას ნაშრომთა მოკლე ვერსიები. თარგმანს ეშრეფი მოკიდებს ხელს, მაგრამ დაბეჭდვა-გამოცემის საქმე როგორღა იქნება? ეს უკვე მოსაგვარებელია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აქაური ქართველები, ქართული კულტურით დაინტერესებული თურქი ინტელიგენციის წარმომადგენლები და ოჯახის გადასარჩენად ჩამოსული ქალბატონები საქართველოდან:

ანა კლდიაშვილი (დოქტორანტი. აქ სწავლობს კიდეც), **ხათუნა გოგოლაძე** (აღმოსავლეთმცოდნე), **ბელა ბასილაია** (ჟურნალისტი), **ნინო სანოძე, მადონა კალანდაძე, ჟოზია ირემაძე.**

ყველა კმაყოფილი წავიდ-წამოვიდა, რაც უნდა იყოს, „ქართული ენის ცენტრი“ პირველია ამ საქმეში, რასაც ჰქვია ვირტუალურად შეხვედრა მწერალთან. მაგრამ რამხელა ემოცია გამოიწვია და როგორი ნასიამოვნები იყვნენ.

მარინე გელაშვილი,
ღონისძიების ავტორი და ორგანიზატორი, კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის მენეჯერი.

ნუ წაართმევთ მიწას გლეხებს!!!

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს თაღლითებს მიწის მიტაცებაში

ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა საქართველოს მთავრობის 1992 წლის 18 იანვრის 348, 1992 წლის 6 თებერვლის №128 და 1992 წლის 10 მარტის დადგენილებების საფუძველზე დაიწყო. ყველა სოფელსა და დაბაში იქმნებოდა მიწის რეფორმის კომისიები, რომლებიც ადგენდენ მიწის მიმღებთა სიებს იმ დროს მოქმედი ნორმატიული აქტის საფუძველზე. სიები მტკიცდებოდა რაიონულ კომისიაზე, რის შემდეგ გაიცემოდა სახელმწიფო მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტები და მიწა მესაკუთრეს გადაცემოდა (შესაბამის ანაზღაურებით), რაც რეგისტრირდებოდა რაიონის მიწათმოწყობის სამსახურში.

1997 წლის 26 ივნისს მიიღეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის 1514 მუხლში აღნიშნულია: **„საჯარო რეესტრის ჩამოყალიბებამდე მიწის ნაკვეთების გასხვისება მოხდეს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არსებული მიწის ნაკვეთების მიმაგრების აქტების საფუძველზე. ამასთან, მიწის ნაკვეთების ყოველი ახალი შეძენის რეგისტრაცია 1997 წლის 25 ნოემბრიდან მოხდეს მიწის რეგისტრაციის სამსახურის სისტემაში არსებული საადგილმამულო წიგნის (საჯარო რეესტრის) სამსახურში. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა უზრუნველყოს სათანადო სამსახურის ჩამოყალიბება, საჯარო რეესტრის ფორმულარების მომზადება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რომლებიც დაკავშირებულია სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან წარმოშობილი უძრავი ნივთების მესაკუთრეების რეგისტრაციასთან“. ამავე კოდექსის 1515 მუხლით აღინიშნა: „საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე სამოქალაქო კოდექსით ამ სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციები განახორციელონ ტექნიკური აღრიცხვის ბიუროებმა. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა უზრუნველყონ საჯარო რეესტრის მონაცემების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის“.**

1997 წლის 25 მაისს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და კანონის ამოქმედების თაობაზე დაადგინა:

„კომლებს (ოჯახებს), რომელთაც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილების მე-2 პუნქტში გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით ეკუთვნით მიწის ნაკვეთები, მაგრამ დადგენილი წესით და ოდენობით არ გადასცემიათ, მიწის ნაკვეთები საკუთრებაში გადაეცეთ და შესაბამისი დოკუმენტაცია გაფორმდეს 1999 წლის 1 იანვრამდე, ხოლო 1998 წლის დეკემბერში საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთების შესაბამისი დოკუმენტაცია გაფორმდეს 1999 წლის 1 თებერვლამდე.“

აქედან გამომდინარე, 1998 წლიდან 1999 წლის 1 თებერვლამდე მიწის მესაკუთრეთა უმრავლესობამ დაარეგისტრირა მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. ნაკვეთების რეგისტრაცია ხდებოდა ადგილებზე სქემატური ნახაზების შედგენის საფუძველზე, სათანადო ანაზღაურებით.

მიწის ნაკვეთების დაზუსტების, სასოფლო-სამეურნეო მიწების აღრიცხვისა და რეგისტრაციის მიზნით მთავრობამ აიღო კრედიტი 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი, გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან. ფირმამ სასოფლო-სამეურნეო მიწების აზომვითი სამუშაოები განახორციელა. აღებული კრედიტი მთლიანად იქნა ათვისებული, ხოლო მიწის მესაკუთრეზე შედგენილი მიწის საკუთრების მოწმობათა უმრავლესობა, პრაქტიკულად, არ იქნა გამოყენებული. შეიძლება ითქვას, რომ მტკვარში გადაიყარა 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი. 2004 წელს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დაუსაბუთებლად ლიკვიდაციის შედეგად, გაუქმდა ამ სტრუქტურის რაიონული რგოლებიც. სამწუხაროდ, დაიკარგა ან შეგნებულად განადგურდა იქ არსებული ყველა დოკუმენტი (სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა რეგისტრაციის დოკუმენტაცია).

მიწის მესაკუთრეთა უმრავლესობამ საკუთარი მიწის ნაკვეთი 3-ჯერ დაარეგისტრირა. პირველად, რაიონში არსებული მიწათმოწყობის სამსახურში, მეორედ — საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რაიონულ სამსახურებში და მესამედ თვით სახელმწიფომ დაურეგისტრირა გერმანული ფირმის მეშვეობით.

არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მიწის რეგისტრაციის შესახებ და მიწის საკითხებზე არსებულ სხვა კანონებში რაიმე ცვლილების სასწრაფოდ შეტანა, სანამ არ მივიღებთ მიწის კოდექსს. არსებობს ტყის კოდექსი (ახლა ღებულობენ ტყის ახალ კოდექსს), არსებობს წყლის კოდექსი, წიაღის კოდექსი, არ არსებობს მხოლოდ მიწის კოდექსი, რაც დაუშვებელია (ადრე არსებობდა საბჭოთა პერიოდის მიწის კოდექსი).

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ყველა ეს დოკუმენტი დაკარგულია. მიწის მესაკუთრეთა უმრავლესობა ვერ პოულობს საკუთრების მოწმობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ვისაც აქვს შესაბამისი დოკუმენტი, ხშირ შემთხვევაში, კომისიების დაბალი კვალიფიკაციის გამო, არ არის შევსებული სრულყოფილად.

„ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი (რომელიც მიღებულია 2007 წლის 22 ივნის), 2011 წლის 22 მარტს შეტანილი ცვლილებებით (კანონის მე-6 მუხლს დაემატა მე-6 პრიმა მუხლი და კანონის მე-7 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი) ითვალისწინებს: იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრის მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არ არის სრულყოფილად შევსებული, ნაკვეთის მეპატრონემ უნდა გადაიხადოს თითოეულ კვადრატულ მეტრზე 15 ლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.

საოცარია, რომ პირს, რომელსაც სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანომ ხარვეზით მისცა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, საკუთარი მიწის ნაკვეთის ერთ კვადრატულ მეტრში უნდა გადაიხადოს 15 ლარი, ესე იგი ერთ ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთში — 150 000 ლარი. თანაც ეტყვიან, მადლობა გვითხარი, პასუხისგებაში რომ არ გაძლევთო. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. ხოლო იმ პირმა, რომელმაც უკანონოდ მიიტაცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და უკანონოდ ააშენა სახლი, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწების ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, კანონის შესაბამისად, რომელიც ასევე მიღებულია 2007 წლის 11 ივლისს, მიწის ნაკვეთის ერთ კვადრატულ მეტრში უნდა გადაიხადოს 5-დან 10 თეთრამდე. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო თბილისის ზღვის მიდამოებში მოქალაქეებს მიწის ნაკვეთების ერთ კვადრატულ მეტრში უხდის 6 ლარს, თვითონ კი 15 ლარს მოითხოვს.

მიწის მესაკუთრეების უმრავლესობამ ორჯერ გადაიხადა რეგისტრაციისათვის შესაბამისი თანხა და კიდევ სთხოვენ, მესამედ დაარეგისტრიროს მიწის ნაკვეთი და გადაიხადოს შესაბამისი საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გადავა სახელმწიფოს საკუთრებაში.

რამდენადაც ცნობილია, 11 სოფელში სახელმწიფოს ხარჯზე — გრანტის საშუალებით ტარდება მიწების უფასო აზომვითი (დაზუსტების მიზნით) სამუშაოები და რეგისტრაცია, საჭიროა მთელ საქართველოში ჩატარდეს მიწების უფასო რეგისტრაცია და ამ კანონპროექტის მიღება არ იქნება საჭირო. ამ კანონის მიღება მიწების წართმევას უფრო ჰგავს!

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში მრავალი ცვლილების შეტანის მიუხედავად (ამჟამადაც არასწორი მიმართულებით), ეს პროცესი წლობით გაგრძელდება და დიდ დაძაბულობას გამოიწვევს. გამოსავალი, უწინარესად, მოსახლეობის დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების სისტემურ (პროგრამულ) რეგისტრაციაშია.

მთავრობის კანცელარიაში სხვადასხვა უწყების მიერ წარმოდგენილი პროექტები მიწის მართვისა და რეგისტრაციის საკითხებზე, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს.

არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მიწის რეგისტრაციის შესახებ და მიწის საკითხებზე არსებულ სხვა კანონებში რაიმე ცვლილების სასწრაფოდ შეტანა, სანამ არ მივიღებთ მიწის კოდექსს. არსებობს ტყის კოდექსი (ახლა ღებულობენ ტყის ახალ კოდექსს), არსებობს წყლის კოდექსი, წიაღის კოდექსი, არ არსებობს მხოლოდ მიწის კოდექსი, რაც დაუშვებელია (ადრე არსებობდა საბჭოთა პერიოდის მიწის კოდექსი).

ახლა, რაც შეეხება ზურაბ ჯაფარიძის კანონპროექტს.

კანონის პროექტის ავტორი არ იცნობს, ან არ აქვს წაკითხული საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 3525 ბრძანებულება. ასევე არ იცნობს მთავრობის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილებას №48, 1992 წლის 6 თებერვლის დადგენილებას №128 და 1992 წლის 10 მარტის დადგენილებას №290. ასევე არ იცნობს უკანასკნელ პერიოდში მიღებულ მთელ რიგ ნორმატიულ აქტებს სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, კანონპროექტის განმარტებით ბარათში გაკეთებულია არასწორი დასკვნები მიწის რეფორმის მიმდინარეობის საკითხებზე. მოკლედ, რომ ვთქვათ კანონის ავტორი არ ფლობს ინფორმაციას, თუ რა ხდებოდა 1992-1998 წლებში და 2000-2012 წლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

პროექტში არასწორი მიდგომაა პრობლემისადმი და იგი არა თუ მოხსნის ან გაამარტივებს მას, არამედ დაამძიმებს, წარმოქმნის უამრავ დავას და ა.შ. ავტორს არ ესმის პრობლემის რეალური თემა და გადადის სრულ აბსურდში, როდესაც ცდილობს, სარგებლობაში არსებული მიწების რეგისტრაცია დაავალოს საჯარო რეესტრს, თან საკადასტრო ნახაზიც რეესტრმა უნდა გააკეთოს მოსარგებლის მითითებით (კონფიგურაცია, ფართობი და ა.შ.). საჯარო გამოკვრაც ვერ უშველის ამგვარ რეგისტრაციას, რადგან მოქალაქემ რა უნდა გაიგოს გამოკრული საკადასტრო ნახაზით, როგორ უნდა მიხვდეს, ფარავს თუ არა ის სხვის საკუთრებას და ა.შ. მოკლედ ამ კანონის ვერც ერთი მუხლი კრიტიკას ვერ უძლებს და მის ყოველ მუხლზე შეიძლება შენიშვნის გაკეთება.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების საჭიროება არ გამომდინარეობს დღევანდელი მდგომარეობის მოთხოვნებიდან. პირიქით, მისი მიღება ხელს შეუწყობს თაღლითებს მიწების მიტაცებაში.

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი

◎ რამდენიმე სტრიქონით

აშშ საქართველოსთვის 63 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს

2017 წელს აშშ საქართველოსთვის 63 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს. ინფორმაციას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საბიუჯეტო დოკუმენტებზე დაყრდნობით, საინფორმაციო პორტალი ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ, Euronews.ge ავრცელებს.

„თანხის უმეტესი ნაწილი განკუთვნილია სამოქალაქო პროგრამებისთვის. ამერიკული სამხედრო დახმარების მოცულობა კი წელს შემცირებულია. 2017 წელს საქართველოსთვის გათვალისწინებული სამხედრო დახმარების მოცულობა არსებული 30-დან 20 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდება. ეს თანხა განკუთვნილია „საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელშესაწყობად, რომლებიც შეძლებენ უსაფრთხოების გაძლიერებას, რუსული აგრესიისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და კოალიციის ოპერაციებში კონტრიბუციას. გათვალისწინებულია მხარდაჭერა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საქართველოს სატრანსპორტო ვერტმფრენების ავიაციის შესაძლებლობების განახლება, თავდაცვის რეფორმა და საქართველოს სამხედრო ინსტიტუტების მოდერნიზება“ — წერს Euronews.ge.

შუამთა-ჭყვიშის საავტომობილო გზა გალაქტიონისა და ტიციანის სახლ-მუზეუმთან მიგვიყვანს

სარეაბილიტაციო მონაკვეთი იმერეთის რეგიონში, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს და მჭიდროდ დასახლებულ სოფლებზე — შუამთასა და ჭყვიშზე გადის. აღნიშნული გზა გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმებთან მიდის და ტურისტულად მნიშვნელოვან საგზაო მონაკვეთს წარმოადგენს.

4.5 კმ-იანი საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაცია ითვალისწინებს ასფალტ-ბეტონის საფარის მთლიანად განახლებას, ხელოვნური ნაგებობების, ბეტონის პარაპეტების, საგზაო ნიშნების, გზებთან მიერთებებისა და მოსახლეობის ეზოებში შესასვლელების მოწყობას.

პროექტი, რომლის ღირებულება 1 მილიონ 468 ათასი ლარია და მიმდინარე წლის ზაფხულამდე დასრულდება.

დავით ქობალია: ყოვლისმცოდნე ექსპერტები და უცხოეთის სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს შეწირული „ანაკლია პორტი“!

არ ვიცი, მერამდენედ გადავაწყდი, ბატონ გია ხუხაშვილის ირონიულ გამონათქვამს „რად გვინდა სამხედრო პორტი, როცა საკუთარი ფლოტი არ გვყავს?!“

ნამდვილად არ მივაქცევდი ამას ყურადღებას, ხუხაშვილი ირიბად რომ არ ეხმიანებოდეს სტატიას — „თუ საქართველოს გადარჩენა გვინდა, ანაკლია პორტი „ხაზარაძე და კონტი ჯგუფმა“ არ უნდა ააშენოს!“

ვერ ვიტყვი, ყველაფერს წინასწარ ვგრძნობდი და მე მას ერთი წლის წინათ გავეცი პასუხი-მეთქი, მაგრამ ფაქტს ვერ გავექცევით.

აი რას ვწერდი, გასული წლის 23 ივლისს ჩემს ფეისგვერდზე:

მეგობარმა „ლინკი“ გამომიგზავნა მინიშნებით, — „აუცილებლად ნახე და წაიკითხე!“

რა თქმა უნდა, მეც ვნახე და წავიკითხე. ისე, კი ჯობდა, არ მენახა და არც წამეკითხა!

არც მეტი, არც ნაკლები, ქართველ „ჭკვიანთა კრებულს“ გადაუწყვეტია რომ, „ანაკლიის პორტის მშენებლობა აზრს კარგავს!“

თვალებს არ დავუჯერე, რამდენჯერმე წავიკითხე ეს ნაცოდვილარი და მასში ნახსენები ე.წ. „ექსპერტების“ სახელი და გვარები მოვნიშნე.

— გია ხუხაშვილი, როგორ არ მსმენია, მაგრამ ემზარ ჯგერენაიას ხსენებამ დამაფიქრა და სანამ ჩემი ნააზრევის ქაღალდზე გადატანას დავაპირებდი, რამდენიმე ჩემს მეგობარს დავურეკე და ვკითხე, რა აზრის იყვნენ ამ ორ ადამიანზე, ასე ხელაღებით რომ დაასკვნეს „ანაკლიის პორტის მშენებლობა აზრს კარგავსო!“

გია ხუხაშვილზე მითხრეს, რომ იგი კარგად იცნობს პოლიტიკურ კონიუნქტურას და ყოველთვის მისი აქცენტები ამ კონიუნქტურაზეა მიერთებულიო.

რაც შეეხება ემზარ ჯგერენაიას, თურმე ორი ემზარ ჯგერენაიაა ცნობილი მედიასივრცეში და ამიხსნეს — „ეს ის ემზარ ჯგერენაია არაა, ქართული სუფრა რომ მოთხარა მის თამადიანად და ყველა ქართველი მამაკაცი გეებად მოგვინათლაო!“

ცხადია, უმიზეზოდ არაფერი ითქმება, მაგრამ, მე თვითონ შევეცადე, სხვათა მონაყოლი გადამემოწმებინა. უამრავი მასალა მოიძებნა ბატონი ხუხაშვილის „მოღვაწეობის“ შესახებ.

ვერ ვნახე, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სფერო და საკითხი, იგი არ შეხებოდეს. უნდა ვაღიარო, გამაოცა მისმა აქტიურობამ. ოღონდ, აქვე უნდა აღვნიშნო, არ ვიცი, სხვა საკითხებში როგორი ექსპერტია ბ-ნი ხუხაშვილი, მაგრამ „ანაკლია პორტის“ პროექტზე და მის პერსპექტივებზე, მას, ან წარმოდგენა არ აქვს, ან კიდევ, შეგნებულად აუფასურებს ამ მეგაპროექტის მნიშვნელობას და ღირსებას!

რაშიც ბ-ნ ხუხაშვილს ვერ შევედავებით, ქართულ პორტებზე, საქართველოს-აზერბაიჯანის რკინიგზაზე, ბოლო წლების ტვირთბრუნვის (როგორც გავიგე, ბ-ნი გიასთვის, საგანგებოდ საინტერესო!) სტატისტიკაა!

სამწუხაროდ, ბ-ნი ხუხაშვილის მსჯელობა, დასახელებულ ობიექტებზე ტვირთბრუნვის კლების შესახებ, ბათუმს, ფოთს, სუფსას, ყულევს, ჭურიას და ნაბადას ვერ ცდება და არ მეეჭვება, იგი, გულუბრყვილო მკითხველის და, ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობის პროვოცირებისთვისაა გამიზნული, რომელიც ასე უნდა ჟღერდეს:

„— ესეც თქვენი საოცნებო ხელისუფლება, ესეც თქვენი „ანაკლია პორტი“ თავისი ათასობით, ხანგრძლივი სამუშაო ადგილებითო!“

საინტერესოა, რატომ დასჭირდა ერთ-ერთ გაზეთს მსგავსი პროვოკაციული პრესკონფერენციის მოწყობა და მისი სოციალურ ქსელში გავრცელება?

თუ ამისი აუცილებლობა არსებობდა, რატომ არ მიიწვიეს — „ანაკლია პორტის“ კონცეფციაში ჩახედული სპეციალისტები, ვისაც წლების განმავლობაში უმუშავიათ ამ პროექტზე?

დროებით აქ დავსვათ წერტილი...

ორი წელიწადი გასრულდა, რაც მეგაპროექტ „ანაკლია პორტთან“ დაკავშირებულ საკითხებზე მიწევს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, დისკუსიებში მონაწილეობა. მოურიდებლად შემიძლია, განვაცხადო, მე ჯერ არ შემხვედრია ბ-ნი ხუხაშვილისდარად მოაზროვნე „ექსპერტი“, რომელიც „ჯოხისცხენზე“ ამხედრებული დაატარებს ტვირთებს „ორ ზღვას შუა“ და ანაკლიაში პორტის მშენებლობის „უპერსპექტივობაზე“ საუბრობს!

შევადაროთ იგი, 2013 წელს, ლიხტენშტეინის დედაქალაქ ვადუცში, „ანაკლია პორტის“ მშენებლობის პერსპექტივებზე საუბრისას, საბანკო ექსპერტ, დოქტორ რაინერ გაისლერის დასკვნას, რომელიც, მან პროექტის გაცნობის შემდეგ გააკეთა:

— „ბატონებო, ათი წლის წინათ, ევროპაში, ვინმეს რომ შავ ზღვაზე, ანაკლიაში (საქართველო) მეგაპორტის აშენების საკითხი გამოეტანა სადისკუსიოდ, მას სიბრალულით შევხედავდით. უნდა მოგახსენოთ, მსგავსი პროექტები ერთ და ორ წელიწადში არ მზადდება. ყველასათვის ცნობილია, რომ ნებისმიერი მეგაპროექტის განხორციელება პრობლემა არ არის, არც მისი დაფინანსების წყაროების მოპოვებაა რთული საქმე!

— რთული და ძნელად მისაღწევი პროექტის დასრულების შემდგომ მისი მუშაობაა. ამ შემთხვევაში უნიკალური ფინანსური და ლოგისტიკური მოდელია ერთმანეთთან მორგებული, სადაც ინვესტორი დამთავრებული პროექტის მომხმარებელი და ხანგრძლივი ფუნქციონირების გარანტი ხდება. **ეს გახლავთ ჩინეთის სახელმწიფო!**

— არ დაგვავიწყდეს, რომ, ევროპაში გაყიდული პროდუქციის ნახევარზე მეტი ჩინეთშია დამზადებული და მისი მომხმარებლამდე სწრაფად გადმოტანა, უზარმაზარი მოგების გარანტიაა. ამ მხრივ, „ანაკლია პორტი“ და „ახალი აბრეშუმის გზა“ უნიკალური შეთავაზებაა, როგორც ჩინელი (არა მარტო ჩინელი!) მეწარმეებისთვის, ასევე ევროპელი მომხმარებლისთვის! **დრ. რ. გაისლერ“**

როგორც იტყვიან — აქ კომენტარი ზედმეტია!

მე მხოლოდ, რამდენიმე წუთის წინ, ჩემს ფეისგვერდზე შემოსული მკითხველის კომენტარს დავამატებდი:

„გია ხუხაშვილისნაირი „ექსპერტები“ რომ ჰყავს საქართველოს მთავრობას, იმიტომაც მიდის ჩვენი ქვეყნის საქმე კარგად!..“

აქ ვამთავრებ ამ უსიამოვნო თემაზე საუბარს.

„ანაკლია პორტის“ პროექტით დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევ, იხილოს 2014-15-16 წლების „საერთო გაზეთის“ არქივი, ან შემოვიდეს ჩემს ფეისგვერდზე (**David Kobalia**) და იქ გაეცნოს ამ თემაზე მიძღვნილ მასალებს.

დავით ქობალია.

P. S. მართლა „ღიმილისმომგვრელია“ ბატონო გია თქვენი, ყოვლისმცოდნე ექსპერტის პასუხები, რომლებმაც მე კითხვები გამიჩინეს:

— რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა თავში „სამხედრო საზღვაო ბაზა, თუნდაც პორტი ანაკლიაში საქართველოს ფლოტისთვის შენდებაო?!.

მერე და, საქართველო აშენებს ანაკლიაში პორტს (თუნდაც სამხედროს)?!

ვისაც ტვირთების გადასაზიდად უნდოდა „ახალი აბრეშუმის გზა“ და ანაკლიაში პორტის აშენება, იმას უარი რომ უთხრეს, თქვენ არაფერს გეუბნებათ?!.

დ. ქ.

◎ ამერ-იმერი

ინვესტორები აჭარაში ცემენტის ქარხნის მშენებლობით დაინტერესდნენ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი დავით ბალაძე „აშკალეცემენტის“ დირექტორს შეხვდნენ. მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ინვესტორებმა ბათუმში ცემენტის ქარხნის მშენებლობისადმი ინტერესი გამოხატეს. მთავრობის პირველმა პირებმა კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად სამომავლო თანამშრომლობის დეტალები განიხილეს. პროექტის მიხედვით კომპანია 50 000 კვ. მ მიწის ნაკვეთზე ცემენტის დაფქვისა და შეფუთვის ქარხნის მოწყობაში 30 მლნ აშშ დოლარის, მზა ბეტონის

წარმოების უზრუნველყოფისთვის კი 10 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას განხორციელებას გეგმავს. ახალი საწარმო პირველ ეტაპზე 140 ადამიანის დასაქმებას ითვალისწინებს. სატრანსპორტო და სხვა მომსახურებებზე კი ჯამში 1500 -მდე ადამიანი დასაქმდება.

პროკურატურაში დიდი საკადრო ცვლილებებია!

საძართველოს პროკურატურაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ამასთან დაკავშირებით, უწყება განაცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ჯი-ეიჩ-ენი“ უცვლელად გთავაზობთ:

„საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ საქართველოს პროკურატურის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, შიდა საკადრო ცვლილებები განახორციელა.

საკადრო გადაადგილებების შედეგად ძირითადად ცვლილებები საოლქო და რაიონული პროკურატურების ხელმძღვანელებს შეეხო. კონკრეტულად კი შეიცვალა რამდენიმე ოლქის და რაიონული პროკურორი და მოადგილეები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად ლევან პაქსაშვილი, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორად ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, ქვემო ქართლის საოლქო პროკურორად ლევან გეგეჭკორი, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორად შოთა ტყეშელაშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად ილია ჯალაღანია დაინიშნენ. რაც შეეხება თბილისის პროკურატურას და სხვა რაიონულ პროკურატურებს, შიდა საკადრო გადაადგილებების შედეგად თბილისის პროკურორის მოადგილედ — საგამოძიებო ნაწილის უფროსად მერაბ ჯერანაშვილი, ექვსი პირი სხვადასხვა რაიონულ პროკურორად, ხოლო ორი რაიონული პროკურორის მოადგილედ დაინიშნა. საკადრო ცვლილებები ასევე საქართველოს მთავარ პროკურატურასაც შეეხო. გადაადგილებები განხორციელდა რამდენიმე დეპარტამენტში, კერძოდ კი, შეიცვალნენ უფროსები და მოადგილები.

სამირა ბაირამოვა პოლიციაში დაჰკითხეს!

— **სამირა ბაირამოვა** უკვე პოლიციის ხელშია, — განუცხადა ჟურნალისტებს სამირა ბაირამოვას დედამ ნაილა გულბანოვამ. მისი ინფორმაციით, 4 დღის წინათ გატაცებული ქალიშვილი უკვე გაათავისუფლეს და პოლიციაში დაკითხეს. როგორც ოჯახის ახლობელმა მელანო ლანჩავამ ჟურნალისტებს განუცხადა, გოგონამ ქვემო ფონიჭალის ერთ-ერთი მაღაზიიდან დარეკა და თქვა, რომ გამტაცებლებმა გოგონა ტაქსში ჩასვეს და მაღაზიაში დატოვეს. მაღაზიიდან ის პოლიციამ გამოიყვანა...

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲣᲚ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ ᲰᲥᲕᲘᲐ!

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ „ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡ“ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ᲑᲝᲚᲝ დროს საქართველოში რუსული პროპაგანდის თაობაზე ერთი დავიდარაბაა ატეხილი. ახალი „სენსაციის“ ინიციატორი, როგორც ყოველთვის ნაციონალური მოძრაობაა და... რაც არ უნდა საოცრად მოგვეჩვენოს – ჩვენი ზეერელე, ჭორიკანა მედია.

ნამდვილად არ გამიკვირდება „ნაცებზე“ უფრო მწვავე განცხადებების გაკეთება, „ნაცთა“ მიერ დაქირავებული ჟურნალისტების მხრიდან, მაგრამ სამწუხაროდ, ამ საკითხში სხვა „თავისუფალი“ ჟურნალისტებიც არ აკლებენ ხელს და ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს რუსეთის ყველა არხი ანტიქართული პროპაგანდით იყოს დაკავებული, ხოლო საქართველოში, „მრავლობით“ რიცხვში მოქმედი პრორუსული არასამთავრობოები 24-საათიან რეჟიმში ანტიქართულ პროპაგანდას „უბერავდნენ“.

ამ ჟურნალისტების გასაგონად ვიტყვი, რომ რუსული მთავარი არხების, ისე, როგორც „CNN“-ის, „BBC“-ს, „Euronews“-ის, „AlJazeera“-ს სისტემატური მსმენელი ვარ, რაც შესაძლებლობას მაძლევს, მათგან განსხვავებით, ობიექტურად შევაფასო არსებული ვითარება, ანუ ეთერში მიმდინარე საინფორმაციო „ომი“, რომელშიც ჯერჯერობით რუსეთი ერთობ ფერმკრთალად გამოიყურება დასავლური მედიის აშკარა შემოტევის ფონზე.

აშშ-სა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოსახლეობას მეთოდურად რომ უმალავენ უკრაინაში ან სირიაში მიმდინარე მოვლენებს და მთავარ დამნაშავეებად რუსეთს, ირანს, სირიის ხელისუფლებას ასახელებენ, არაერთხელ ითქვა ცნობილი ამერიკელი და ევროპელი ჟურნალისტების, ექსპერტების, პოლიტიკოსების მხრიდან.

სულ ახლახან საფრანგეთის ერთ-ერთმა ცენტრალურმა სატელევიზიო არხმა დოკუმენტური ფილმი აჩვენა უკრაინის „რევოლუციაზე“ და მის შედეგად მიღებულ ფაშიზმთან დაკავშირებით. აჩვენა ის ამაზრზენი კადრები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოდესის პროფკავშირების შენობის დაწვის დროს, რომელმაც 50-მდე უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ფილმში ნაჩვენები იყო დონეცკ-ლუგანსკის ამბები, ცენტრის მიერ ე.წ. სეპარატისტების წინააღმდეგ გაჩაღებული ომი და მასში ათასი ჯურის (სხვადასხვა ევროპული ქვეყნიდან) „ბოევიკის“ მონაწილეობა.

უკრაინის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა, ფილმის ეთერში გაშვებას წინ აღდგომოდა, თუმცა, უშედეგოდ. ფილმის დემონსტრირების შემდეგ, პარიზის ქუჩებში გამოკითხვა ჩაატარეს. ყველა გამოკითხული გაოცებას ვერ მალავდა ოდესის ტრაგედიის, უკრაინის ქალაქებში სვასტიკიანი ახალგაზრდების გამომწვევი ქცევის, ეკლესიების დარბევისა და სხვა „სიკეთეების“ ნახვის შემდეგ. „ნუთუ ყოველივე ეს მართალიაო“, – კითხულობდნენ ისინი. თან იმასაც ამბობდნენ, რომ პირველად გაიგეს ამის შესახებ.

საინფორმაციო ჭურში ამყოფო საფრანგეთის, სხვა ევროპული ქვეყნის მოსახლეობა - დიდი ვერაფერი მიღწევაა ყბადაღებული დასავლური დემოკრატიისთვის.

პროპაგანდისტული თვალსაზრისით ყველას გადააჭარბა „BBC“-ს მიერ შექმნილმა მოდელირებულმა ვიდეო-ფილმმა რუსეთთან და მის აგრესიასთან დაკავშირებით. უმალ გამახსენდა სააკაშვილის კარნახით შქმნილი მოდელირებული ვიდეოფილმი, რუსეთის საქართველოში შემოჭრის თაობაზე, რომელმაც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით გულები გაუხეთქა საქართველოს მოსახლეობას.

მაშინ, ამ „შედევრის“ გამომგონებლად სააკაშვილი ჩავთვალეთ, მხედველობიდან გამოგვრჩა რა „ცივი ომის“ დროინდელი ამერიკული ტელეკომპანიები, რომლებიც მინიმუმ თვეში ერთხელ მსგავს ვიდეოფილმებს უჩვენებდნენ საკუთარ მოსახლეობას, რათა მათ ტვინში ჩაენერგათ „აგრესიული“ რუსული დათვის იმიჯი.

„BBC“-მ ძალიან იაქტიურა და ორი ფილმი გადაიღო „ეშვებიანი“ პუტინის შესახებ. ერთში პუტინს ადანაშაულებენ რუსეთის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლის, შემდგომში ბრიტანეთის სპეცსამსახურში გადაბარგებული ლიტვინენკოს მკვლელობაში (მოწამლვაში), მეორეში – პუტინის მილიარდებზეა გაკეთებული აქცენტი. მოსამართლე, პუტინს ადანაშაულებს სიტყვა Probably-ს („შესაძლო“-ს) გამოყენებით.

დემოკრატიით სახელგანთქმულმა ინგლისმა, მე-13 საუკუნიდან საპარლამენტო ცხოვრებას ნაზიარებმა, თავი დაგვამახსოვრა აშკარა არადემოკრატიული ცილისწამებით.

დიახ! ცილისწამებაა, როდესაც მავანს მკვლელობაში ადანაშაულებ შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე, თან სიტყვა „Probably“-ს ხმარობ. მაგრამ მსგავსი „უმნიშვნელო“ ნიუანსი რა მოსატანია, როდესაც რუსეთისა და მისი პრეზიდენტის აგრესიულობის გამოხატვა გაქვს გადაწყვეტილი? ფართო საზოგადოება სიტყვა „Probably“-ს არ მიაქცევს ყურადღებას. მის გონებაში პუტინის სადიზმი ჩაჯდება, ისე, როგორც კორუფციონერობა, რომელიც მეორე ფილმშია „აღბეჭდილი“.

ფილმის ავტორების მიხედვით, პუტინს 40 მილიარდი დოლარი აქვს, ცხადია, არაკეთილსინდისიერი გზით ნაშოვნი. ფილმის მიზანი არა მარტო ბრიტანეთის და მსოფლიო საზოგადოების („BBC“ მთელს მსოფლიოში მაუწყებლობს), არამედ რუსეთის მოსახლეობის ტვინის გამორეცხვაა. 40 მილიარდი ძალზე დიდი თანხაა და მისი შენახვა „მუთაქაში“ შეუძლებელია. ამ რაოდენობის ფული ბანკში (ბანკებში) ინახება, მეტადრე უცხოეთის, მაგრამ ვის სახელზე?

„უოლ სთრითი“ (Wall Street), აშშ-ის სპეცსამსახურები, რომლებიც ზედმიწევნით, გულდასმით აკონტროლებენ საფინანსო ოპერაციებს, უმალ მიაგნებდნენ პუტინის კვალს. ვერ მიაგნეს, ალბათ, იმიტომ, რომ სხვა გვარებზეა შეტანილი? მაგრამ 40 მილიარდის შესატანად 40 კაცი მაინც არის საჭირო, თუ მეტი არა, თითომ რომ თითო მილიარდი შეიტანოს. დავუშვათ, პუტინმა გამოძებნა 40 ნდობით აღჭურვილი პირი, რომლებმაც თითო-თითო მილიარდის შეტანა ითავეს, ნებისმიერ ბანკს არ გაუჩნდება სერიოზული კითხვა ფულის წარმომავლობასთან დაკავშირებით?

დავუშვათ, არც ბანკს გაუჩნდა კითხვა (ფული საიდან?) და მილიარდიც (მილიარდები) მიიღო, ის 40 კაცი რა ისეთი სანდოა, ერთ დღეს პირი არ დააღოს და არ თქვას ამის შესახებ?! ქართული ანდაზაა – „ორმა თუ იცის, ღორმაც იცისო“.

ფილმის მთავარი მოქმედი პირი, ვინმე პუგაჩოვი, ყოფილი რუსი ბანკირია, რომელმაც მილიონობით ფული მიითვისა და ინგლისში გაიქცა. სწორედ მას ალაპარაკებენ – რუსეთის მიერ ძებნილად გამოცხადებულს, პუტინის მილიარდებზე. საინტერესოა, რას იტყვიან ფილმის შემქმნელები დღეს, როდესაც ეს პუგაჩოვი ინგლისის მართლმსაჯულებამ დამნაშავედ აღიარა და ციხეში გამოამწყვდია?

რატომ ვთვლით, რომ სააკაშვილზე გადაღებული ფილმი ან ე.წ. ვიკილიკსის (WikiLeaks) მასალები ფალსიფიკაცია და პროპაგანდაა? რატომღაც სააკაშვილზე გადაღებული ფილმი ჩვენი მედიის მსჯელობის მიღმა დარჩა. მხოლოდ გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გაამახვილა მასზე ყურადღება, რითაც უდავოდ მკითხველის დიდი სიმპათია დაიმსახურა.

რუსეთის სატელევიზიო არხები სისტემატურად აჩვენებენ ავაკოვ-სააკაშვილის „ცივილიზებულ“ პაექრობას, მაგრამ ეს ხომ სინამდვილეა და არა გამოგონილი ამბავი? ის, რომ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელი სააკაშვილი აცხადებს – უკრაინაში კორუფცია დღეს გაცილებით მაღალია, ვიდრე იანუკოვიჩის დროსო – სიცრუეა? იგივეს ამბობს უკრაინის ყოფილი ეკონომიკის მინისტრი აბრამავიჩუსი, რომელიც მთავრობის კორუფციის გამო გადადგა. ეს, არ არის პროპაგანდა, ეს სინამდვილის აღწერაა.

სინამდვილე არ იყო სააკაშვილზე მიძღვნილი ერთსაათიანი ვიდეოფილმი, სადაც სააკაშვილის „მასაჟისტით“ დაწყებული, ამერიკაში მცხოვრები ქართველი ტრანსვესტიტით დამთავრებული, საკუთარი პირით ყვებოდნენ საკაშვილის შესახებ? მაშ, რა რუსულ პროპაგანდაზე ვლაპარაკობთ?

რატომ ვთვლით, რომ სააკაშვილზე გადაღებული ფილმი ან ე.წ. ვიკილიკსის (WikiLeaks) მასალები ფალსიფიკაცია და პროპაგანდაა? რატომღაც სააკაშვილზე გადაღებული ფილმი ჩვენი მედიის მსჯელობის მიღმა დარჩა. მხოლოდ გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გაამახვილა მასზე ყურადღება, რითაც უდავოდ მკითხველის დიდი სიმპათია დაიმსახურა.

მიუნხენის კონფერენციაზე არაერთხელ გაიჟღერა სირიაში რუსეთის აგრესიის თაობაზე. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ქერიმ ისიც თქვა – თუ რუსეთი არ შეწყვეტს შეტევას, აშშ იძულებული იქნება, სახმელეთო ოპერაცია დაიწყოს სირიაშიო.

რუსეთი სირიაში სულ რამდენიმე თვე იმყოფება, თანაც სირიის ხელისუფლების მიწვევით. აშშ და მისი მოკავშირეები უკვე ხუთი წელიწადია, სირიის ირგვლივ ტრიალებენ. თვით ამერიკელი ექსპერტების განცხადებით, ისინი ეხმარებიან „ისლამურ სახელმწიფოს“ – საქმით, ხოლო სიტყვით მის წინააღმდეგ იბრძვიან.

რომ არა საქმიანი დახმარება, გაძლებდა ე.წ. ისლამური სახელმწიფო? გაძლო იმიტომ, რომ დასავლეთი ეხმარება. სულ ახლახან, ანკარაში ჩასულმა გერმანიის კანცლერმა მერკელმა თურქეთის პრეზიდენტის მხარე დაიკავა და მკაცრად გააკრიტიკა რუსეთი. თითქოს, ლტოლვილების რაოდენობის გაზრდა რუსეთის ავიაციის ბრალია.

მერკელმა მხარი ერდოღანს დაუჭირა, პრეზიდენტს, რომლის საოჯახო ბიზნესი თურმე მჭიდროდ უკავშირდება „ისლამურ სახელმწიფოს“!მერკელმა დაბეჯითებით მოითხოვა სირიის ცაში ფრენების შეწყვეტა. ამ წინადადებით კარგა ხანია, ერდოღანი გამოდის, რაც რუსეთის თვითმფრინავების სამხედრო ოპერაციების შეწყვეტას ნიშნავს. საჰაერო იერიშების გარეშე სირიის არმიის წინსვლა და „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაპყრობილი ტერიტორიების უკან დაბრუნება შეუძლებელია.

გასულ წელს რუსეთის მიერ გადაღებული ვიდეოკადრები ბენზინმზიდებთან დაკავშირებით სირია-თურქეთის საზღვარზე, აშშ-მა პროპაგანდად შეაფასა. წელს, თვითონ განაცხადა, რომ ბენზინმზიდები აშშ-ის ავიაციამ გაანადგურა, რითაც რუსეთის ნახელავი მიიწერა.

ზემოთ აღვნიშნე ე.წ. რუსული პროპაგანდის გამომზეურებაში ქართული მედიის წვლილი. სულ ახლახან, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრთან დავით ბაქრაძესთან, რომელმაც გაუძღო ჟურნალისტ გვანცა ფიფიას „შეტევას“, რუსულ პროპაგანდასთან დაკავშირებით და არ აყვა გამოწვევას.

ძვირფასო გვანცა, ევროკავშირი არათუ „აცნობიერებს რუსული პროპაგანდის საქმეს“, არამედ რა ხანია გაჰყვირის მის შესახებ და შესაბამის თანხებს ჰყოფს, ისე, როგორც აშშ რუსული „პროპაგანდის“ ასალაგმად. აშშ-ის მიერ საქართველოში ჩადებული ფულის უდიდესი ნაწილი ე.წ. დემოკრატიის განვითარების საქმისთვის და რუსული პროპაგანდის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. სწორედ ამის შედეგია ის, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის 80% მხარს ნატოში გაწევრებას „უჭერს“.

ის, რომ 25-წლიანმა ნატო-ნატოს ძახილმა ტერიტორიებიც დაგვაკარგვინა და ცხოვრებაც დაგვიმძიმა, განა ხალხმა არ იცის?! რაში სჭირდება მას (ხალხს) რუსეთის პროპაგანდა? ანალოგიურ დღეშია უკრაინა და მოლდოვა. გირჩევთ, თვალი ადევნოთ იქ მიმდინარე პროცესებს – მიუკერძოებლად, სამართლიანად და თუ გაგიჩნდებათ კითხვა რუსულ პროპაგანდასთან დაკავშირებით, მაშინ ის სხვა რამეს უნდა მივაწეროთ.

როდესაც ტრანსვესტიტი იტყვის სააკაშვილთან ვცხოვრობდიო – პროპაგანდაა? ის, რომ ოდესის პროფკავშირების სახლი დაწვეს შიგ მყოფი ადამიანებით – პროპაგანდაა? ის, რომ ათასობით ბენზინმზიდი მიემართებოდა თურქეთისკენ – პროპაგანდაა?

ყველა ამ „სიკეთესთან“ ერთად ხშირად გაისმის მოწოდება, შეწყდეს ტელევიზიებში რუსეთის პროპაგანდა ქართველთა მხრიდან. ყმაწვილმა „მეცნიერმა“ თორნიკე შარაშენიძემ პარლამენტსაც მოუწოდა, ისეთი კანონის მიღება, რომელიც აკრძალავს რუსეთზე პოზიტიურ ლაპარაკს, უფრო მეტიც გააუქმებს რუსული ტელეარხების გადაცემებს და ა.შ.

სამაგალითოა ახალგაზრდა კაცისგან – აშკარა რეაქციული სულისკვეთების მატარებლისგან გაკეთებული განცხადება. ასეთი აკრძალვები, წიგნების დაწვა, ჩვეულებად იყო ქცეული გასული საუკუნის 30-იანი წლების გერმანიაში. მას ფაშიზმი ერქვა. როგორც ჩანს, მისი სავალალო გაკვეთილები კარგად ვერ აღიქვეს ყმაწვილმა „მეცნიერმა“ და მისთანებმა, რომლებიც დაბეჯითებით აცხადებენ, რომ საქართველო მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა და არა სამამულო ომშიო. ზოგი იმასაც ამბობს – მერე რა, გერმანიას გაემარჯვა, „მერსედესებით“ ვივლიდითო.

„ავლაგმოთ რუსული პროპაგანდა“ – კიდევ უფრო გავაღრმაოთ, ისედაც გაწყვეტილი კავშირები, ვლანძღოთ რუსეთი და ვაქოთ ევროპა, რომელმაც, ჯერჯერობით, კარგი ვერაფერი არგუნა საკუთარ წევრებს – რუმინეთს, ბულგარეთს, საბერძნეთს, ბალტიისპირეთს, სხვებს და რომ ეს ასეა, კარგად ჩანს ინგლის-ევროკავშირის მწვავე დაპირისპირებიდან. დარწმუნებული ვარ, დიდი ბრიტანეთის მხრიდან თავს მოხვეული საგანგებო პირობები დროებითია და დანარჩენ ევროპასთან ინგლისური ჯახი კარგს არაფერს მოუტანს „ბებერ“ კონტინენტს. ვნახოთ, ივლისის რეფერენდუმიც მალე მოვა...

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ.

დედამიწის ზურგზე

ინდოეთში ძსელში ჩაირთო ატომური ელექტროსადგური „კუდანკულამის“ პირველი ბლოკი

ატომურ ელექტროსადგურ „კუდანკულამის“ მშენებლობა კომპანია „ატომშენექსპორტის“ მიერ წარმოებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის 1988 წლის მთავრობათაშორისი შეთანხმების ხელმოწერის თანახმად. თავდაპირველი პროექტი ითვალისწინებს ამ ობიექტის აღჭურვას ორი ენერგობლოკით, რომელთა ნაყოფიერებაც ათასი მეგავატია თითოეულისა.

* * *

ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებმა კონტროლზე აიყვანეს ერთადერთი ტრასა ალეპოში სირიის არმიის მომარაგებისათვის

გამომცემლობა AL Masdar -ის მონაცემებით, მთავრობის ძალებმა ბოევიკების შეტაკების შედეგად უკან დაიხიეს სოფელ რასმ ან-ნაფალში. სირიის ჯარები ემზადებიან კონტრშეტევისათვის, რათა გამოდევნონ ბოევიკები დასახლებული პუნქტიდან, ნათქვამია ცნობაში.

* * *

„ბრიტანეთის ბიზნესი“ ხმას მისცემს ევროკავშირიდან გამოსვლის წინააღმდეგ

დირექტორების ინსტიტუტში განაცხადეს, რომ შეთანხმება ევროკავშირთან, რასაც მიაღწია დევიდ კემერონმა, საკმარისია იმისათვის, რომ ორგანიზაციის 600-ზე მეტმა წევრმა ხმა მისცეს,

რათა დარჩეს კავშირში. საწარმოო კომპანიების ჯგუფში ასევე განაცხადეს, რომ მონაწილეთა ნახევარზე მეტი მხარს უჭერს ევროკავშირს.

* * *

ფიჯიზე ციკლონმა 20 კაცი იმსხვერპლა

სპეციალისტები არ გამორიცხავენ იმის დიდ ალბათობას, რომ დაღუპულთა რაოდენობა კიდევ გაიზრდება. საქმე ისაა, რომ ჯერ არ არის შეგროვებული ყველა ინფორმაცია დედაქალაქიდან დაშორებული კუნძულებიდან. ნგრევის მასშტაბების შეფასება კი შესაძლებელია.

აშშ ემზადებოდა სამშვიდობო ხელშეკრულებისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, სანამ ეს უკანასკნელი არ გამოცდიდა წყალბადის ბომბს

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია წლის დასაწყისში ცდილობდა საიდუმლოდ მოლაპარაკებოდა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ. უფრო მეტიც, ვაშინგტონი ემზადებოდა ზოგიერთი დათმობისთვისაც. მაგრამ ფხენიანმა ამის პასუხად რამდენიმე დღის შემდეგ გამოცადა ბირთვული იარაღი.

* * *

კიევში გაწბილებული არიან პოლონეთში მაიდანზე ფილმ „რევოლუციის ნიღბების“ ჩვენების გამო

ფილმი, რომლის ავტორებსაც მიაჩნიათ, რომ 2014 წლის ქაოსის შემდეგ უკრაინის ხელისუფლებაში მოვიდნენ ბანდიტური დაჯგუფებები, კვირას აჩვენეს პოლონეთში. კიევში ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ, მოუწოდეს პოლონელებს, არ ენდონ ნანახს, აგრეთვე კვლავ შეახსენეს „რუსეთის იმპერიული ამბიციების“ შესახებ.

◎ ფსიქოთერაპევტის რჩევა

ისწავლეთ თავის დაცვა

თქმა არ უნდა, რაგინდ დალაგებული ატმოსფეროც უნდა იყოს სამსახურში და როგორი კარგი კოლექტივიც მუშაობდეს, სტრესული სიტუაციები, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად წარმოიშვება. ფსიქოთერაპევტები აცხადებენ, რომ მცირე დოზით სტრესების სარგებლის მომტანიც კია, მაგრამ, როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა მათი ოდენობა აშკარად შემაწუხებელი ხდება?

მედიკოსების თქმით, როცა სტრესი დიდხანს გრძელდება და ჩვენი ორგანიზმის დამცველ ძალებს ნთქავს, ის დამანგრეველ ძალად იქცევა. არადა, მისი უარყოფითი შედეგების მაქსიმალურად შერბილება და საკუთარი თავის ახალი უსიამოვნებებისთვის სათანადოდ შემზადება რამდენიმე მეტად მარტივი ხერხით შეიძლება.

ისწავლეთ საკუთარი ემოციების მართვა — შეცვალეთ საკუთარი პრობლემებისადმი თქვენი დამოკიდებულება. საქმე ისაა, რომ ნებისმიერ, თვალის ერთი გადავლებით, რაგინდ საშინელ ამბავს შეგვიძლია შევხედოთ როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მხრიდან.

ზედმეტს ნუ იტვირთებით — სამუშაო საკუთარი ძალების შესაფერისად უნდა აიღოთ და შესრულებულისგან სიამოვნებასაც მაშინ მიიღებთ — ეს ხომ შეუდარებლად უკეთესია, ვიდრე შეუსრულებელი მიზნების დასახვა და შემდეგ ამის გამო გულდაწყვეტის განცდა.

თავი აარიდეთ უარყოფით საგაზეთო და ტელეინფორმაციას — ნუ ჩაიკეტებით საკუთარ პრობლემებში. სტრესთან ბრძოლაში მარტოობა საუკეთესო მეკავშირე ნამდვილად არ არის. უმჯობესია თქვენი სადარდებელი მეგობრებსა და ახლობლებს გაუზიაროთ.

უფრო ხშირად გაიღიმეთ — სპეციალისტებმა დიდი ხანია, შეამჩნიეს — თუკი კაცი უგუნებოდაა, ღიმილის დროს სახის კუნთების მუშაობა უკუკავშირის გენეტიკურად ჩადებულ მექანიზმს „რთავს“ და ხასიათზე მოყავხართ.

მეტი იმოძრავეთ: ფიზიკური ვარჯიში სისხლში ჭარბ ადრენალინს წვავს. სტრესთან ბრძოლის ყველაზე სარგებლიან სპორტის სახეობად გამძლეობის განმავითარებლები — სირბილი, ცურვა, ჩოგბურთი, აერობიკა — ითვლება.

ისწავლეთ მოდუნება — რა გზით მიაღწევთ ამას — იქნება ეს მედიტაცია, მასაჟის სეანსი თუ სუფთა ჰაერზე სეირნობა — თქვენივე გადასაწყვეტია.

სწორად იკვებეთ — დეპრესიასთან და ნერვულ დაძაბულობასთან ბრძოლის „ჩემპიონები“ არიან ატამი, ყურძენი, მსხალი, კივი, გრეიპფრუტი და სხვა ციტრუსოვნები, წითელი წიწაკა, ბანანი, ნიახური.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

◎ ჩვენი კვება

კაცობრიობის „მთავარი მტრის“ რეაბილიტაცია

ნახევარი საუკუნის წინათ მედიკოსები ქოლესტერინს უაღრესად მავნე ნივთიერებად მიიჩნევდნენ. არადა, ამჟამად მდგომარეობა რადიკალურადაა შეცვლილი, ექიმები ყველა ცოდვაში ბრალს ქოლესტერინს აღარ სდებენ, ზოგიერთნი მის სარგებლიანობასაც აღიარებენ.

მოდით, თავდაპირველად გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს ქოლესტერინი. გავრცელებული აზრისგან განსხვავებით, ის არც წიდაა, არც ტოქსინი, არც რაიმე სხვა მავნე ნივთიერება. **ქოლესტერინი ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია — ესაა უჯრედების მემბრანების შემადგენლობაში შემავალი ორგანიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ცხიმი.** მისით „აგებულია“ როგორც ქალის, ასევე მამაკაცის სქესობრივი ჰორმონები. ქოლესტერინი — საჭმლის მონელებისთვის აუცილებელი ნაღვლის მჟავებისა და D ჯგუფის ვიტამინების წინამორბედია. დაბოლოს, **ადამიანის თავის ტვინის მკვრივი ნივთიერების 10 პროცენტი — ესაა ქოლესტერინი!**

მაშ, როგორ მოხდა, რომ ესოდენ სასარგებლო ნივთიერება „კაცობრიობის მტერი“ გახდა? გასული საუკუნის 50-იან წლებში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ **ჭარბი ქოლესტერინი უჯრედების მემბრანებსა და სისხლძარღვთა კედლებზე ილექება,** რომელიც თან უჯრედოვან მიმოსვლას აძნელებენ, თანაც ბალთებს წარმოქმნის. დროთა განმავლობაში ბალთებში დალექვას იწყებს კალციუმის მარილები და ისინი მაგრდება, რის შედეგად სისხლძარღვის ნასვრეტი ვიწროვდება, სისხლის მიმოქცევა ირღვევა, ჟანგბადის გადატანა და ქსოვილებიდან ნახშირმჟავა გაზის გატანა ნელდება. დადასტურებულია, რომ **ქოლესტერინის მაღალი დონე ათეროსკლეროზის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც, თავის მხრივ, ინფარქტებისა და ინსულტების საფრთხეს ზრდის.**

ამიტომაც ექიმებმა ქოლესტერინისგან დასაცავად პანაცეის ძებნა დაიწყეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდგომ რამდენიმე სხვა ქვეყანაშიც ათეროსკლეროზთან ბრძოლის ეროვნული პროგრამები მიიღეს, აქტიურად დაიწყეს უქოლესტერინო კვების ინდუსტრიის განვითარება, მაგრამ მალევე აღმოჩნდა, რომ ასეთი კვება... არ „მუშაობდა“. 90-იან წლებში კალიფორნიის უნივერსიტეტში უქოლესტერინო, ასევე მისი შემცველის ჯანსაღი (მაგრამ არა ზედმეტად ცხიმიანი) საკვების მიმღებთა ჯგუფებზე დაკვირვების შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ორივე მათგანის წარმომადგენელთა სისხლის მაჩვენებლები ერთმანეთისგან, ფაქტობრივად, არ განსხვავდებოდა. გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ **ქოლესტერინის 80 პროცენტს თავად ორგანიზმი გამოიმუშავებს, საკვებიდან კი ადამიანი მხოლოდ 20 პროცენტს იღებს.** რაც უფრო ნაკლებ ქოლესტერინს ითვისებს კაცი საკვებიდან, მით უფრო აქტიურად სინთეზირებს მას ღვიძლი, რაც იმას ნიშნავს, რომ **რაციონიდან ქოლესტერინის ამოღებას არა თუ აზრი არა აქვს, არამედ ეს მავნეცაა.**

ინფარქტებისა და ინსულტების მთავარ პროფილაქტიკას მედიკოსები კვლავაც ცხოვრების ნირის შეცვლას მიიჩნევენ. **ამიტომაც, უარი უნდა თქვათ თამბაქოს მოწევაზე, მეტი იმოძრავეთ, დაიგდეთ ჭარბი წონა, დაიწყეთ დაბალანსებული კვება და ყველაფერი რიგზე იქნება.**

რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომელთა ღვიძლი, გენეტიკურ თავისებურებათა გამო, ქოლესტერინს ჭარბი ოდენობით გამოიმუშავებს, **ამიტომაც მათ კარდიოლოგის მიერ შერჩეული მედიკამენტოზური მკურნალობა სჭირდებათ, თუმცა კი უმეტესობისთვის გამაჯანსაღებელი ღონისძიებებიც საკმარისი იქნება.**

მაგრამ, თუკი თამბაქოს მოწევასა და ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებით ყველაფერი მეტ-ნაკლებად გარკვეულია, ბევრისთვის გაუგებარია, თუ რას გულისხმობენ სპეციალისტები ტერმინში „დაბალანსებული კვება“.

ათეროსკლეროზის ეპიდემია იმ ქვეყნებშია უფრო მეტად გავრცელებული, სადაც მოსახლეობა, უმეტესად, ცხოველური წარმოშობის სურსათით იკვებება. ესენია, ძირითადად, დასავლეთ ევროპის ქვეყნები ამერიკა, კანადა, ავსტრალია. **ეპიდემია იქ არ არის, სადაც მოსახლეობა უმეტესად მცენარეული ანდა ზღვის პროდუქტებით იკვებება — იაპონიაში, ჩინეთში, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებში.**

ქოლესტერინზე კონტროლის დასამყარებლად საჭიროა ჯანსაღი, მინიმალურად დამუშავებული საკვების მიღება: **რაციონი უნდა მოიცავდეს რაც შეიძლება მეტ ახალ ხილ-ბოსტნეულს და ნაკლებ ხორცს** (თუმცა კი მასზე მთლად უარის თქმა საჭირო არ არის). სხვათა შორის, **ყველაზე მეტ ქოლესტერინს არა ხორცი, არამედ ხიზილალა და ყველი შეიცავს.** საგულისხმოა ისიც, რომ, **გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, ქათმის კვერცხი სახიფათო არ არის,** თუმცა კი სულ რაღაც 20 წლის წინათ ისინი ქოლესტერინის მთავარ წყაროდ იყვნენ მიჩნეული, რომელსაც, მართალია, საკმაო ოდენობით შეიცავენ, მაგრამ ცოტა ხნის წინათ მეცნიერებმა მათში ქოლესტერინის ანტაგონისტი — ლეციტინი აღმოაჩინეს, რომელიც მას ხუთჯერ სჭარბობს! ასე რომ კვირაში 2-3 კვერცხის ჭამა თქვენს ჯანმრთელობას არავითარ ზიანს არ მოუტანს.

ЗДОРОВЬЕ

◎ ძალისმიერი სამჭიდი

კობერიძის მსოფლიოს თასი



დუბაიში დამთავრდა მსოფლიოს თასის გათამაშება ძალისმიერ სამჭიდში. 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მეორეკურსელმა ელგუჯა კობერიძემ, რომელმაც სამჭიდში 282,5 კილოგრამი დაძლია, საქართველოს რეკორდი დაამყარა და მსოფლიოს თასი მოიპოვა.

ელგუჯა კობერიძე ოთხი წელიწადია, რაც ძალისმიერ სამჭიდში ვარჯიშობს. ზედიზედ ორჯერ (2014, 2015 წ.წ.) შავი ზღვის აუზის ქვეყნების თასი მოიგო, შარშან კი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი გახდა. წლეულს იგი მსგავს შეჯიბრებებში უკრაინასა და თურქეთში ტიტულების დასაცავად იბრძოლებს.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: ელგუჯა კობერიძე ასპარეზობისას.

◎ ჭიდაობა

საოლიმპიადო ძალებს იკრებენ

2 „ოძრო“ და ამდენივე „ბრინჯაო“ – ასეთი შედეგით დასრულეს ასპარეზობა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდაველებმა მინსკში გამართულ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის – ალექსანდრ მედვედის თასზე. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ზურაბ იაკობაშვილი (70 კგ) და გენო პეტრიაშვილი (125), ხოლო ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61) და დავით მარსაგიშვილი (86) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

24 წლის იაკობაშვილი წლეულს საქართველოს ჩემპიონი 65 კილოში გახდა, თუმცა, ახლა წონა არ დააკლებინეს, სალიცენზიო შეჯიბრებებზე კი ისევ 65-ში მოსინჯავს ძალებს, რადგან 70 კილოგრამი ოლიმპიური კატეგორია არ არის. ბელარუსში ქართველმა ფალავანმა რუსეთელები – შარაფ გიტინოვი და რუსტამბეკ მასხადოვი დაჯაბნა, მერე თანაგუნდელ დავით ტლაშაძეს აჯობა, ნახევარფინალში ამერიკელი აარონ პიკოს ჩამოიშორა გზიდან, გადამწყვეტ პაექრობაში კი რუსეთელი ამირ ბარუკოვი დაამარცხა.

ძალიან დამაჯერებლად იჭიდავა პეტრიაშვილმაც, რომელმაც ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო. მან ჯერ რუსეთელ ანზორ ხიზრიევსა და თანაგუნდელ გიორგი საკანდელიძეს დააყრევინა ფარ-ხმალი, ნახევარფინალში ირანელი ოლიმპიური პრიზიორი კომეილ ჰასემი დაჯაბნა, ფინალში კი აზერბაიჯანელ საიდ გამიდოვს 10:0 სძლია. საგულისხმოა, რომ მედვედის ტურნირში ჩვენები მინსკში მასპინძლებთან მოწყობილი ერთობლივი საწვრთნელი შეკრების შემდეგ ჩაებნენ.

ლაშა დიდია

◎ ჯიუდო

მხოლოდ ორი „ბრინჯაო“

დიუსელდორფში დამთავრდა ძიუდოისტთა „დიდი პრიზის“ გათამაშება, რომელშიც ქართველმა ფალავნებმა ორი მესამე ადგილი დაიკავეს.

ვაჟა მარგველაშვილმა (66) თავიდან გაფრთხილებებით ჩამოიცილა გზიდან იტალიელი ფაბიო ბაზილე, ხოლო გამოცდილ მონღოლს – ალთანსუკ დოვდონს ვაზარით აჯობა. ძირითად ბადეში ჩვენებურმა იპონით აუღო რევანში ფრანგ კილიან ლე ბლუშს ტუნისში წაგებისთვის, მერე კორეელთა მსოფლიოს ჩემპიონთან, ტურნირის მომავალ გამარჯვებულ ბაულანთან დამარცხდა, დამამშვიდებელში სუფთად აჯობა ბრიტანელ ევროპის პრიზიორ კოლინ ოუტსს, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი იაპონელი კენგო ტაკაიჩის ბეჭებზე დასადებად 13 წამი იკმარა.

73 კილოში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა. თავიდან მან ესპანელი ხავიერ რამირესი და ბრაზილიელი მარსელო კონტინი იპონებით დაამარცხა, იტალიელ ანტონიო ესპოზიტოს გაფრთხილებებით მოუგო, მერე აზერბაიჯანელ რუსტამ ორუჯოვთან ვერაფერს გახდა, სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის პაექრობაში სლოვენიელი ევროპის ჩემპიონი როკ დრაქშიჩი დაჯაბნა.

თამაზ პატარაია

სურათზე: შეტევაზეა ლაშა შავდათუაშვილი.

◎ ლიცენზიატი

ოლიმპიური სეზონი „ბრინჯაოთი“ გახსნა

შარშან სექტემბერში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც გერმანულმა შტუტგარტმა უმასპინძლა, 57 ქვეყნის 120 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს საპრიზო ადგილებსა და რიოს ოლიმპიური თამაშების საგზურებს. ნელი სალაძის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის შეგირდმა სალომე ფაჟავამ (მწვრთნელები – ელისო ბედოშვილი, ლალი დოლიძე) მრავალჭიდში 71.782 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა და 2016 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლებაც მოიპოვა. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი ტანმოვარჯიშე მესამეადგილოსან მელიტინა სტანიუტას (ბელარუსი) მხოლოდ 0.35 ქულით ჩამორჩა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ სახეობის მედალთან ასე ახლოს არასდროს ვყოფილვართ.

ქართველი სპორტსმენი ახლა მონდომებით ემზადება რიოს თამაშებისთვის. გასულ უქმეებზე მან მოსკოვში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გრან პრიზე იასპარეზა, რომელშიც 50-ზე მეტი სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ ელისო ბედოშვილმა თქვა, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის სალომესთან ერთად ლენტითა და ბურთით ვარჯიშში ახალ პროგრამებს ამზადებენ: „უწინდელზე უკეთესი პროგრამები გამოგვდის ორიგინალური ქორეოგრაფიით. რაც შეეხება გურზებითა და რგოლით ვარჯიშებს, სპეციალისტების თხოვნით ისინი არ შეგვიცვლია. ქომაგებსაც ძალიან მოსწონთ სალომეს გურზებით შესრულებული „რაჭული“. კარგი პროგრამა აქვს რგოლშიც ორიგინალური ილეთით, რომელიც 0.4 ქულით ფასდება. ოლიმპიადამდე ვარჯიშებში რამდენიმე ორიგინალურ ილეთს კიდევ ჩავამატებთ“.

ფაჟავამ მოსკოვში სწორედ რგოლით ასპარეზობაში 18.016 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პირველ-მეორე ადგილებზე გუნდურში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ალექსანდრა სოლდატოვა (რუსეთი, 18.500) და 2015 წლის აზიის აბსოლუტური ჩემპიონი, რგოლით ვარჯიშში 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სონ იონ ჯი (კორეა, 18.283) გავიდნენ. ჩვენებურმა რგოლით ვარჯიშში 18.150 ქულა დაიმსახურა, რაც მხოლოდ მე-5 ადგილისთვის ეყო. აქ კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. მარგარიტა მამუნი (რუსეთი, 18.850), 2. არინა ავერინა (რუსეთი, 18.350), 3. მელიტინა სტანიუტა (ბელარუსი, 18.316). მეოთხე იყო სონ იონ ჯი – 18.250 ქულა.

როგორც მოსკოვის გრან პრიმ გვიჩვენა, სალომეს ბურთითა და ლენტით ვარჯიშები ჯერ კიდევ დასახვეწია, თუმცა, პროგრამების წარდგენა მაინც წარმატებით დასრულდა, რადგან ორივე საგნით ფინალში მოხვდა და, შესაბამისად, მეხუთე და მეშვიდე ადგილები დაიკავა.

„შარშანაც მოსკოვის ტურნირით დავიწყე, გურზებში ბრინჯაო მოვიპოვე და მერე წარმატებული სეზონიც გამომივიდა. ღმერთმა ქნას, წლეულსაც ასე იყოს“, – მითხრა სალომემ მოსკოვში წასვლამდე. ქართველ ტანმოვარჯიშეს ნატვრა აუხდა.

– სალომე, ბოლოდროინდელი ტურნირებიდან განსაკუთრებით რომელი დაგამახსოვრდა?

– 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ყველაზე დაძაბული შეჯიბრება იყო, რომლებშიც მანამდე მიასპარეზია. არც არის გასაკვირი – შტუტგარტში ხომ 2016 წლის ოლიმპიადის 15 ლიცენზია გათამაშდა. მიხარია, რომ მიზანს მივაღწიე და მწვრთნელების იმედები გავამართლე. ბოლო ორი წლის მაჩვენებლებიდან გამომდინარე, წარმატების იმედი მქონდა, მაგრამ ასეთ მაღალ შედეგს თუ ვაჩვენებდი, ნამდვილად არ მეგონა. საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ მეშვიდე ვიყავი. ფინალში რომ გამოვდიოდი, მთელი დარბაზი მიჭერდა მხარს, რამაც ენერგია და მოტივაცია გამიორმაგა.

ჩემპიონატის ბოლომდე ორიოდე მონაწილის გამოსვლაღა იყო დარჩენილი. ტაბლოს რომ ავხედე, თვალებს არ დავუჯერე – მესამე ვიყავი. მერე სტანიუტამ გამისწრო. მართალია, გული დამწყდა, რომ უმედლოდ დავრჩი, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რადგან ოცნება ავიხდინე - ოლიმპიადის საგზური მოვიპოვე.

სალომე ფაჟავამ მხატვრულ ტანვარჯიშში მეცადინეობა 2005 წელს დაიწყო მოსკოვში ირინა ანოსოვას ხელმძღვანელობით. 2008 წელს ოჯახი თბილისში დაბრუნდა და ნორჩმა ტანმოვარჯიშემ დაოსტატება ელისო ბედოშვილსა და ლალი დოლიძესთან

განაგრძო. 2009 წლიდან თანატოლებში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია მრავალჭიდსა და ცალკეული საგნებით. 2009 წელს პირველად იასპარეზა საერთაშორისო ტურნირზე ბულგარეთში. მრავალჭიდში მეორე იყო, ბურთითა და სახტუნაოთი კი ყველას აჯობა. მომდევნო წელს ესტონეთში „მის ვალენტინის“ საერთაშორისო ტურნირზე იყოჩაღა. ახალგაზრდებში თურქეთის, იურმალის, იტალიის, ესპანეთის, ისრაელისა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორია. 2012 წელს მოსკოვის გრან პრიზე გაბრიელა ხვედელიძესთან ერთად გუნდურში მესამე იყო, იტალიურ პეზაროშიც ხვედელიძესა და სოფიო ფარულავასთან ერთად მსგავს წარმატებას მიაღწია. ამ სამეულმა პენზის საერთაშორისო ტურნირზე მეორე, „თბილისის თასზე“ კი პირველი ადგილი დაიკავა, ნიჟნი ნოვგოროდში ახალგაზრდების ევროპის გუნდურ პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 2013 წლიდან ფაჟავა უფროსებში ასპარეზობს. ქართველ სპორტსმენთაგან იგი პირველი იყო, რომელმაც ევროპის პირველი თამაშების ლიცენზია მოიპოვა.

– მხატვრული ტანვარჯიში რატომ აირჩიე?

– ბავშვობისას ძალიან ცელქი ვიყავი და დედაჩემის მეგობარმა ჩემს მშობლებს უთხრა, მე მოვარჯულებო და მხატვრულ ტანვარჯიშზე მიმიყვანა.

– მორჯულდი?

– მწვრთნელმა თქვა, დაგვიანებულიაო. სანამ უფროსები საუბრობდნენ, მე გოგონების ვარჯიშს ვუყურებდი. ძალიან მომეწონა ნაირფერი ბურთები და ლენტები. უარის ამბავი რომ გავიგე, თვალებზე ცრემლი მომადგა, ეტყობა, ამან მწვრთნელს გული მოულბო და 10-დღიანი ვადა მომცა – თუ იყოჩაღებ, დაგტოვებო. შლიჯდომი გამიჭირდა ძალიან, მაგრამ მოვინდომე და ჯგუფშიც მიმიღეს. ორი წელიწადი თანატოლთა შორის არ მიასპარეზია, რადგან საქართველოს მოქალაქეობა მქონდა და შეჯიბრებებში გამოსვლის უფლებას არ მაძლევდნენ. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ უამრავ ტურნირში მივიღე მონაწილეობა. ბევრგან – წარმატებით, თუმცა, უკეთესი შედეგებიც შეიძლებოდა.

– ყველაზე მეტად რომელმა ასპარეზობამ დაგწყვიტა გული?

– შარშან ბაქოში ევროპის პირველ თამაშებში ოთხივე საგნით ფინალურ ექვსეულში გამოსვლის უფლება მოვიპოვე, იქ კი ყველა ვარჯიში კარგად შევასრულე, მაგრამ არაობიექტური მსაჯობის გამო ბურთით, რგოლითა და გურზებით მე-4 ადგილები დავიკავე. განსაკუთრებით გურზებით გამოსვლაზე დამწყდა გული – სულ მცირე ბრინჯაოს მედალს მაინც ვიმსახურებდი.

– სამაგიეროდ, ლენტში ხომ იყავი მესამე?

– შეჯიბრება უკვე მთავრდებოდა, გულდაწყვეტილი მედალზე აღარც ვფიქრობდი. უბრალოდ, მინდოდა, ბოლო ვარჯიშიც კარგად შემესრულებინა. გამომივიდა კიდეც. ტაბლოს მხოლოდ მაშინ შევხედე, ასპარეზობის ბოლო მონაწილე რომ დარჩა. გამიკვირდა – მეორე ადგილზე ვიყავი. ხალიჩაზე მასპინძელი დურუნდა გავიდა. არბიტრებმა მის მიმართ აშკარა გულუხვობა გამოიჩინეს და საბოლოოდ მესამე ადგილზე აღმოვჩნდი. კარგი იყო, რომ უმედლოდ არ დავრჩი, მაგრამ წართმეული ვერცხლი დამენანა.

– წლეულსაც დაძაბული სეზონი გექნება...

– ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპის ჩემპიონატი იქნება, რომელსაც 13-17 ივნისს ისრაელი უმასპინძლებს. ძალიან მინდა, რომ არბიტრებს იქაც დავამახსოვრო თავი და საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლო, რაც ოლიმპიადისთვის კარგი განცხადი იქნება. მსოფლიოს თასების ეტაპებსა და გრან პრიზეც მომიწევს გამოსვლა,

თუმცა, ჯერ არ ვიცი რომელში, რადგან ზუსტი გრაფიკის დადგენაში ის მიშლის ხელს, რომ წლეულს სკოლას ვამთავრებ და რვა გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი. სამწუხაროდ, თარიღები ემთხვევა.

– სწავლის გაგრძელებას სად აპირებ?

– ამჯერად ეროვნულ გამოცდებზე ვერ გავალ, რადგან ოლიმპიური თამაშებისთვის საფუძვლიან მომზადებაში ხელი შემეშლება.

– რიოში რას გეგმავ?

– ცუდია, ოლიმპიადებზე ცალკეულ საგნებში მედლები რომ არ თამაშდება - მხოლოდ მრავალჭიდში ნაწილდება საპრიზო ადგილები. კონკურენცია დიდი იქნება, რაც სრულყოფილ ფსიქოლოგიურ მზადყოფნასაც მოითხოვს. ამიტომ არავინ იცის, რა მოხდება. ერთი ოცნება შარშან ავისრულე, ახლა მეორე ოცნების ასრულების ჯერია - ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასვლა...

ვაჟა დანელია

სურათებზე: სალომე ფაჟავა გურზებით ასპარეზობისას; კვარცხლბეკზე მარჯვნიდან - სალომე ფაჟავა, ალექსანდრა სოლდატოვა და სონ იონ ჯი.

◎ ფარიკაობა



აპრილში მსოფლიოზე გამოვლენ

წლეულს 25-27 აპრილს რიო-დე-ჟანეირო მოხმალავეთა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. მეედლებისთვის 16 გუნდი იასპარეზებს. მათი ვინაობა სალიცენზიო ტურნირებზე მოპოვებულმა ქულებმა გამოავლინა. სასიამოვნოა, რომ მონაწილეთა შორის იქნება საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა ნაკრები (სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე), რომელმაც ვარშავაში სალიცენზიო პირად-გუნდური მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე მოსინჯა ძალები. საპრიზო ადგილებისთვის 21 ნაკრები იბრძოდა. ქართველმა მოხმალავეებმა პირველ წრეში თურქებს მოუგეს 45:29, მეორე ორთაბრძოლა ამერიკის გუნდთან დათმეს 4 ჩხვლეტით 41:45. საგულისხმოა, რომ აშშ-ის ნაკრებმა შემდეგ ყველა მეტოქეს აჯობა, მათ შორის ფინალში რუსეთს 45:43 და პირველი ადგილი დაიკავა. მესამეზე გერმანია გავიდა. მესამე შეხვედრა ჩვენმა მოფარიკავეებმა ბელარუსებთან წააგეს — 40:45, XIII-XVI ადგილებისთვის პაექრობაში ჯერ ყაზახეთი ჩამოიშორეს გზიდან - 45:40, მერე ბელგია დაამარცხეს დაძაბულ ბრძოლაში — 45:44 და მე-13 ადგილი დაიკავეს. საბოლოოდ ისინი 50 ნაკრებს შორის 108 ქულით მე-16 ადგილზე გავიდნენ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

გივი გაგუა

სურათზე: მარცხნიდან — მიხეილ მარდალეიშვილი, ბექა ბაზაძე, სანდრო ბაზაძე.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ინტერნეტიდან

ეველინი მიულერს ეფანცქვალება

გერმანელი მოდელი ეველინ შარმა აქამდე ნამდვილად არ ყოფილა თავისი ეპატაჟურობითა და სიგიჟეებით სახელგავარდნილი ქალი. ეველინზე ვერც იმას იტყვის ვინმე, პუპულარობა აკლდა და ამ დანაკლისის შესავსებად ათასი უცნაური ხრიკისა და ეშმაკობის მოფიქრება უწევსო.

მაგრამ, აი, დადგა უცნაური ჟამი და ეველინ შარმამ მოიხსნა დაღვინებული ქალის იმიჯი; მან საჯაროდ განაცხადა, რომ თომას მიულერს ეტრფის და გერმანელ მეგოლეს მოუწოდა, რომ თავისგან განაგდოს ცოლი მისი, მოისროლოს ცოლქმრული უღელი და ეველინთან ვნების მორევში შესცუროს.

გერმანელი მოდელი ამბობს, მე „იმნაირი“ და „იბიარდი“ ნურავის ვეგონები და ჩემი მიულერისადმი ტრფობა გულით ალალად მიტარებიაო. რა არის მაინც ეს ოხერი ინდოეთი. ამ ბოლო დროს ეველინ შარმა თურმე რამდენიმე ინდურ ბოლივუდურ სერიალში გადაიღეს და, როგორც ჩანს, ეს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებიც იქ ისწავლა. აბა, ბავშვიც კი მიხვდება, რომ ალალი ტრფობა არა ქვაბი...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ინფორმაცია

შსს საპოლიციო კონტროლის შედეგები

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დანაშაულის პრევენციის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სპეციალური საპოლიციო კონტროლი განახორციელა.

შსს-ს ცნობით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების მიერ, 2016 წლის 18-19 თებერვალს განხორციელებული საპოლიციო კონტროლის შედეგად, დაკავებული იქნა 3 ძებნილი პირი და ქვეყანაში არალეგალურად მყოფი რუსეთის 1 მოქალაქე.

გამოვლენილია სისხლის სამართლის დანაშაულის 101 ფაქტი, მათ შორის:

1.ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების 20 ფაქტი;

2.ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების 15 ფაქტი;

3.ნარკოტიკების განმეორებით უკანონო მოხმარების 24 ფაქტი;

4.ქურდობის 28 ფაქტი;

სამართალდამცველებმა გამოავლინეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 769 ფაქტი, მათ შორის:

1.ნარკოტიკების უკანონო მოხმარების 71 ფაქტი;

2. წვრილმანი ხულიგნობის 7 ფაქტი;

3.დაუმორჩილებლობა/წვრილმანი ხულიგნობის 38 ფაქტი;

4.ცივი იარაღის ტარების 34 ფაქტი;

5.საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლის სმის 30 ფაქტი;

სხვადასხვა სახის სამართალდარღვევის 589 ფაქტი.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 4 ავტომატი, 1 შაშხანა, გადაჭრილი სანადირო თოფი, 5 პისტოლეტი, 57 ხელყუმბარა, 4 კაპსულ-დეტონატორი და სხვადასხვა კალიბრის 732 ვაზნა ამოიღეს. ასევე, ამოღებულია 73 აბი „სუბუტექსი“, 1 შეკვრა „ბუპრენორფინი“, 5 შეკვრა „ბიო“, 6 აბი და აბის ნატეხი „სუბოქსინი“, 3 გრამი ჰეროინი, 2 შეკვრა მარიხუანა და 1 შეკვრა მცენარეული მასა.

შსს-ს მონაცემებით, სისხლის სამართლის დანაშაულისთვის დაკავებულ იქნა 37 პირი, მათ შორის: 11 პირი — სსკ-ს 260-ე მუხლით, 7 პირი — სსკ-ს 236-ე მუხლით, 14 პირი — სსკ-ს 177-ე მუხლით, 2 პირი — სსკ-ს 273-ე მუხლით, 2 პირი — სსკ-ს 353-ე მუხლით და 1 პირი — სსკ-ს 117-ე მუხლით.

კულტურის ცენტრი „იმედის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი თანამშრომლის

ნანა ვასილის ასული თხინვალელის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტიმ ფერისი: როგორ მოვასწროთ ყველაფერი ისე, რომ ნაკლები ვიმუშაოთ

ტიმ ფერისი არის პიროვნული პროდუქტიულობის შესახებ პოპულარული წიგნის „როგორ ვიმუშაოთ კვირაში 4 საათი“ ავტორი. მის წიგნში შესაძლებელია ნახოთ სხვადასხვა დამაფიქრებელი რჩევები. წარმოგიდგენთ მთავარ რჩევებს იმათ, ვისაც გსურთ ცხოვრების გამარტივება და ნაკლები მუშაობა.

1. თუ თქვენ დღეში 12 საათი სამუშაო მაგიდასთან ატარებთ და მაინც ვერ ასწრებთ საქმეების გაკეთებას, მაშინ ცვლილებების დროა. „ნუ მიჰყვებით მოდელს, რომელიც არ მუშაობს — წერს ფერისი. — თუ რეცეპტი უვარგისია, არაფერი გამოვა, როგორი კარგი მზარეულიც არ უნდა იყოთ“. თავად ფერისმა წარმატებას მიაღწია შემდეგი წესის გამოყენებით: რაიმეს ყიდვის შეთავაზებით ის რეკავს მხოლოდ დილის 8-დან 8:30-მდე და საღამოს 6-დან 6:30-მდე, რადგან ამ დროს შესაძლებელია თავი აარიდოს მდივნის, დამხმარეს ან სხვა პერსონალის პასუხს და პირდაპირ ხელმძღვანელს დაუკავშირდეს.

2. ინტერესი, ენერგია და შესაძლებლობების დონე მუდმივად იზრდება ან იკლებს. იმ მომენტში მუშაობის მცდელობა, როცა თავს ცუდად გრძნობთ — არაპროდუქტიულია. სჯობს ასეთი მომენტების დაგეგმვა და მათი გათვალიწინება, ვიდრე მათი გადალახვის მცდელობა ან ეკრანისთვის საათობით უშედეგოდ ყურება.

3. ნაკლები საქმის კეთება — ეს სიზარმაცეს არ ნიშნავს. ნუ აითვისებთ კულტურას, რომელიც პირად მსხვერპლს პროდუქტიულობაზე მაღლა აყენებს. პროდუქტიულობა და დაკავებულობა — ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. არ არის საჭირო შესრულებული სამუშაოს მოცულობის გაზომვა: გაზომეთ შედეგები და უარი თქვით ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებსაც უდიდესი დრო მიაქვთ.

4. შეწყვიტეთ რთული გადაწყვეტილებების გადადება „შეუფერებელი მომენტის“ გამო. ეს კლავს თქვენს პროდუქტიულობას. შესაფერისი მომენტის ლოდინი — ეს უბრალოდ გაჭიანურების ტაქტიკაა, რომელიც საშუალებას გაძლევთ, საკუთარი თავი რაიმეთი დააკაოთ.

5. ადამიანებს სთხოვეთ პატიება და არა ნებართვა. თანხმობის მიღება მარტივი მეთოდია რაიმეს გადადების ან თავის არიდებისგან, რისი გაკეთებაც არ გინდათ. ასე შეიძლება სხვისი დადანაშაულება. მაგრამ თუ თქვენ გინდათ, რაიმეს გაკეთება და ფიქრობთ, რომ უარს გეტყვიან, არ გაჩერდეთ, მაინც გააკეთეთ. თუ ზარალი კატასტროფული არ იქნება, თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი გამოასწოროთ ან ბოდიში მოიხადოთ.

6. აქცენტი გააკეთეთ იმაზე, რაშიც ძლიერი ხართ და ნუ ეცდებით, გამოასწოროთ საკუთარი სისუსტეები. ადამიანების უმრავლესობა ძალიან ცოტა რამეში აღწევს საშუალოზე მაღალ შედეგებს, ხოლო დანარჩენ ურთიერთობებში, ისინი ძალიან სუსტები არიან. სუსტი მხარეების გაძლიერების მცდელობა მხოლოდ უმნიშვნელოდ გამოასწორებს სიტუაციას და მიგაახლოვებთ საშუალო დონესთან. თუ თქვენ მოიმართებით ძლიერ მხარეებზე, აუცილებლად მიაღწევთ მაღალ დონეს, რაც გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება თქვენთვის.

7. ისწავლეთ სტრესის გამოყენება და არ მისცეთ მას საშუალება დაგასუსტოთ. მძიმე სტრესის გადატანა რთულია, მაგრამ განსაზღვრული დონის სტრესის გარეშე, სავარაუდოდ, მოტივაციაც ვერ გექნებათ. ასეა მაგალითად როცა ხელმძღვანელი გიყვირით, დაუმსახურებლად გაკრიტიკებთ და ა.შ. „კარგი“ სტრესის მაგალითი ეს არის ის მდგომარეობა, რომელიც წინ გიბიძგებთ და რისკები, რომლებიც გაიძულებთ კომფორტის ზონიდან გასვლას.

8. ფიქრებში აღწერეთ ყველაზე ცუდი სცენარი: რა მოხდება თუ თქვენ რადიკალურად შეცვლით საკუთარ ცხოვრებას? თქვენ შეიძლება გაგათავისუფლონ სამსახურიდან, გაგიჭირდებათ იპოთეკის გადახდა, მოგიწევთ მანქანის გაყიდვა. როცა შეძლებთ, ძლიერი შიშის ნაცვლად ეს სცენარი წარმოიდგინოთ, თქვენ მიხვდებით, რამდენად ნაკლებმოსალოდნელია თითოეული მათგანი და შეძლებთ მოიფიქროთ მათი შეჩერების გეგმა.

9. ზოგჯერ შიში ოპტიმიზმის ნიღაბის ქვეშ იმალება. თქვენ შეიძლება საკუთარ უმოქმედობას ამართლებთ იმით, რომ მომავალში უკეთ იქნება ყველაფერი. ახლა უკეთ გრძნობთ თავს იმასთან შედარებით, ვიდრე ერთი კვირის, თვის, ან ერთი წლის წინ იყავით?

10. დაისახეთ არარეალური და ძალიან ამბიციური მიზნები. როცა ადამიანები ისახავენ „გონივრულ“ მიზნებს, ისინი შედიან მრისხანე კონკურენციის ზონაში. გიჟური, შეუძლებელი მიზნები უფრო მარტივია, თუმცა, გაცილებით ნაკლები ადამიანი ცდილობს მათ მიღწევას.

11. ყველა საქმისათვის გამოყავით რაც შეიძლება ნაკლები დრო. გაიხსენეთ პარკინსონის კანონიც: საკითხის მნიშვნელობა და სირთულე იზრდება მასზე დახარჯული დროის მიხედვით. ჩვეულებრივ თქვენ ხარჯავთ 8 სამუშაო საათს იმაზე, რისი გაკეთებაც გაცილებით მალე შეიძლება.

12. პრობლემების უმრავლესობა თავისთავად გვარდება. რაც უფრო ზღუდავთ ინფორმაციის მოხმარების დროს, მით უფრო ნაკლებ დროს დახარჯავთ უსარგებლო და არაპროდუქტიულ საკითხებზე. შეეცადეთ, ნაკლებად იკითხოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია, შეკვეცეთ მიმოწერა და სატელეფონო საუბრები. წერილებზე დღეში მხოლოდ ორჯერ უპასუხეთ.

13. გამოიმუშავეთ უნარი, რომელიც დაგეხმარებათ, საქმე არ მიიყვანოთ ბოლომდე და ადამიანებს შეაწყვეტინოთ კეთება. ყველა ჩვენგანი ცუდად გააზრებულ, რთულად შესასრულებელ და უშედეგო საქმეს ვეჭიდებით ხშირად. ზოგჯერ ეს გარდაუვალია, მაგრამ, თუ თქვენ შეძლებთ იმის დამტკიცებას, რომ საკითხი არ ღირს დახარჯული დროის ფასად, თქვენ მისგან გათავისუფლდებით. ეს ეხება დაუსრულებელ თათბირებს და სატელეფონო ზარებსაც. სჯობს იყოთ ცოტა მეტად უხეში, ვიდრე ზრდილობიანი და ფუჭად ხარჯოთ დრო.

14. ზოგიერთი საქმე უბრალოდ დროს გართმევთ და მუდმივად მეორდება. ასეთი საკითხები ერთიანად მოიცილეთ. უპასუხო წერილები, შეუვსებელი ანკეტები და მსგავსი საკითხები გააკეთეთ არა სხვა საკითხების პარალელურად, არამედ თავი მოუყარეთ ერთად და მოიშორეთ ერთიანად.

15. ნუ აიძულებთ ადამიანებს, ნებართვა გთხოვონ. მკვეთრად განსაზღვრეთ, როდის არის ეს საჭირო, დანარჩენ შემთხვევებში ამას თავი აარიდეთ. თუ დაქვემდებარებული პირები გყავთ, ადვილია მიკრომენეჯმენტში გადავარდნა, მით უმეტეს, რომ ადამიანები ხშირად ხედავენ ამის საჭიროებას. მიაჩვიეთ ისინი სხვაგვარად იმოქმედონ.

b@p.ge

ბაშკირული სამკუთხედი

ცნობილმა მკვლევარმა ერნსტ მულდაშევმა შარშანდელი საველე სეზონი ბაშკირეთში გაატარა და უამრავ საოცრებას ყვება მიღებულ შედეგებზე.

ე. მულდაშევისა და მათემატიკოს შ. შიგანოვის ერთობლივი გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დედამიწაზე არსებობს მაგიური რიცხვი 6666, რომელიც მრავალჯერ მეორდება. მაგალითად, თუკი ტიბეტში წმინდა მთა კაილასიდან ინგლისში სილბერი-ჰილის პირამიდამდე, შემდეგ ბერმუდის სამკუთხედის ცენტრამდე, მერე აღდგომის კუნძულამდე, იქიდან კი სამხრეთ პოლუსამდე სწორ ხაზებს გავავლებთ, თითოეული მონაკვეთის სიგრძე 6666 კილომეტრი იქნება. მნიშვნელოვანია ასევე ამ რიცხვის ნახევარი – რიცხვი 3333.

ბაშკირული გადმოცემებით, მფრინავი ცხენი აქბუზათი ტბა იილკისიკკანულიდან ამოვიდა, რომელიც საქვეყნოდ ცნობილი შულგან-ტაშის მახლობლად მდებარეობს. ამ ტბიდან ტიბეტში მთა კაილსამდე ზუსტად 3333 კილომეტრია, ამდენითვეა იგი დაშორებული ეგვიპტეში ხეოფსის პირამიდას, რომელზე გამავალ ხაზის გაგრძელებას ბაშკირეთში ცნობილ ანომალურ ზონაში, ეგრეთ წოდებულ, „ახუნის მენგირებამდე“ (სვეტებამდე) მივყავართ.

მაგრამ, ყველაზე საგულისხმო სამკუთხედს ჰქმნიან ხეოფსის პირამიდა, მთა კაილასი და ჩრდილოეთ პოლუსი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ორი გვერდი 6666 კილომეტრის სიგრძისაა, ხეოფსის პირამიდასა და მთა კაილასს შორის მანძილი კი 4 999 კილომეტრის ტოლია. თუკი ამ სამკუთხედის ბისექტრისას სამ ტოლ ნაწილად დავყოფთ, ზედა წერტილი ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში კუნძულ ახალ მიწაზე მოხვდება, ქვედა კი – ბაშკირეთში სოფელ ბაიშევოზე.

გადმოცემებით, ახალ მიწაზე სირტიას ტომის ხალხი ცხოვრობს, რომელიც ზოგჯერ დედამიწის ზედაპირზე ამოდის. სოფელ ბაიშევოს შემოგარენში კი უამრავი ყორღანია, რომლებიც... მიწისქვეშა სამყაროში შესასვლელებად არიან მიჩნეულნი. თანაც მრავალრიცხოვანი მენგირი, რომლებსაც აღმოსავლეთში „მიწისქვეშა სამყაროს ანტენებად“ თვლიან, „ბაშკირულ სამკუთხედში“ ზუსტად ბისექტრისის ხაზზეა განლაგებული...

ერთი ავადმყოფობის საშინელი შედეგები

პიტსბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მოსაზრება გამოთქვეს, რომ ჰიტლერი პარკინსონის დაავადებით იყო სნეული, რაც მეორე მსოფლიო ომში გერმანიის მარცხის ერთი-ერთი მთავარი მიზეზი გახდა.

– დისკუსია იმის თაობაზე, მართლა იყო დაავადებული ჰიტლერი პარკინსონის სნეულებით თუ არა, დიდი ხანია მიმდინარეობს, ამბობენ მეცნიერები. ამ დასკვნის გამოტანის საბაბი ძველი კინოსინჯების კადრებია, რომელთა ქრონოლოგიურად თვალის გადევნებით შეიძლება იმის დანახვა, თუ როგორ უარესდებოდა ჰიტლერის მოტორიკული ფუნქციები 1933-დან 1945 წლამდე პერიოდში. სსრ კავშირზე თავდასხმაც, 1944 წლის ივნისში ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმისათვის ვერმახტის არასაკმარისი მომზადებაც და მრავალი სხვა გაუაზრებელი სამხედრო მოქმედების მიზეზიც „ფიურერის ცვალებადი ხასიათით“ აიხსნება, რის მიზეზი, როგორც ჩანს, პარკინსონის ავადმყოფობა იყო. ამითვე ხსნიან მის არნახულ სისასტიკეს.

პარკინსონის ავადმყოფობის მიზეზი, შესაძლოა, ეკონომოს ენცეფალიტი გამხადარიყო, რომლის ეპიდემია ავსტრიაში 1916 წელს დაიწყო და სწრაფად გავრცელდა დასავლეთ ევროპაში. როგორც ჩანს, ეს ავადმყოფობა ჰიტლერს 1918 წელს შეეყარა.

ყავის „სტრესი“

დაძინებამდე დალეულ ორმაგ ყავა ესპრესოს ადამიანის ბიოლოგიური საათი სამი საათით უკან „გადაყავს“ და მელატონინის გამომუშავებას ამუხრუჭებს, დაადგინეს ამერიკელმა და ბრიტანელმა მკვლევარებმა.

მათ ექსპერიმენტი ჩაატარეს, რა დროსაც ხუთი მოხალისე 49 დღის განმავლობაში ლაბორატორიის ტერიტორიაზე გარე სამყაროს მოწყვეტილი ცხოვრობდა. იმის გამო, რომ არც ერთ მათგანს საათი არ ჰქონდა, მათ დღე-ღამის დროის დადგენა არ შეეძლოთ. ოთახებში კი, სადაც მოხალისეები ცხოვრობდნენ, დროდადრო ხან კაშკაშა, ხან დაბალი შუქი ინთებოდა. ამავე დროს, ეს ადამიანები დაძინებამდე სამი საათით ადრე ან იმ დოზით კოფეინს იღებდნენ, რამდენსაც ორმაგი **ესპრესო,** ან პლაცებო შეიცავს **(პლაცებო – ესაა ნეიტრალური ნივთიერების შემცველი წამლის ფორმა, რომელსაც შთაგონების მიზნით იყენებენ – რედ.)** ძილის წინ კი მათ ნერწყვს უღებდნენ მელატონინის შემცველობაზე ანალიზის ჩასატარებლად.

აღმოჩნდა, რომ კოფეინის მიღების შემთხვევაში, მელატონინის გამომუშავება 40 წუთით გვიან იწყებოდა, ვიდრე პლაცებოს მიღებისას. აქედან გამომდინარე, მეცნიერებმა დასკვნა გამოიტანეს, რომ დაძინებამდე ყავის დალევა ორგანიზმისთვის ისეთივე სტრესია, როგორც თვითმფრინავში ჩაჯდომა და 500 კილომეტრით დასავლეთით გამგზავრება.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

კრიმინალი

მახარაშვილი ნამეტნავად დანაღვლიანდა!

საძარცველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მოტყუებით სახელმწიფოს ბიუჯეტის დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების ბრალდებით თენგიზ მახარაშვილი დაპაკავა.

გამოძიებით დადგენილია, ბრალდებულმა სხვადასხვა პირის სახელზე დაარეგისტრირა რვა საწარმო, რომლის სახელითაც, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში განახორციელა 3 824 192 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის ხილისა და ბოსტნეულის იმპორტი, გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით კი დღგ-ს დეკლარაციებში მიუთითა ყალბი მონაცემები და თავი აარიდა დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდას. აღნიშნული ქმედებით ბრალდებულმა სახელმწიფო ბიუჯეტს 128 810 ლარი დააკლო.

ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

ქუთაისში „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგური გაძარცვეს

ინფორმაცია მედიანიუსს ვისოლში დაუდასტურეს.

როგორც კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, შემთხვევა გუშინ გამთენიისას, დაახლოებით 05:00 საათზე მოხდა.

„ოპერატორებს რაც ჯიბეში ჰქონდათ, 275 ლარი წაიღეს. მძარცველი იყო ორი, ნიღბიანი“, – აცხადებენ ვისოლში.

როგორც შსს-ში განაცხადეს, მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები და ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

ცინცხალი ანეკდოტები

– **როგორ** მიგდის, ბებო გენაცვალოს, საქმეები სკოლაში? – ეკითხება ბებია სკოლიდან დაბრუნებულ მიხოს.

– დღეს სკოლაში ქიმიის გაკვეთილზე ასაფეთქებელ ნივთიერებებზე ცდებს ვატარებდით.

– ხვალ რა გექნებათ სკოლაში?

– რომელ სკოლაში, ბაბო?

* * *

– **ძილის** წინ ითვლიდით რიცხვებს, როგორც მე დაგარიგეთ? – ეკითხება ექიმი პაციენტს.

– დიახ, 4200-მდე დავითვალე.

– ამის მერე დაგეძინათ?

– არა, უკვე ადგომის დრო იყო.

* * *

– **ლენოჩკა,** უცხოპლანეტელებმა გამიტაცეს. ფული მთლიანად წამართვეს, ჩემზე ცდებს ატარებენ, სუნამოებით ამაქოთეს, ზურგი დამიფხაჭნეს. ნუ გაბრაზდები, მალე მოვალ.

* * *

– **ჩვენი** პალატა ნამდვილად კლასიკურია! ყოველ დილით გვასმენინებენ სიმღერას. „ჩვენთვის სიკვდილი ნაადრევია!“

– მაშინ რატომ მოკვდა ის ბებუა, კედელთან რომ იწვა?

– ის ყრუ იყო!

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!